პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 35 (12547) | კვირა, 10 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები გაეცნენ საბჭოთა ხუროთმოძღვართა ნამუშევრებს

9 თებერვალს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები გაეცნენ მოსკოვის რეკონსტრუქციისა და შემდგომი განაშენიანების ზოგიერთ პროექტს.

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი და ა. ნ. შელეპინი იყვნენ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „მშენებლობის“ განყოფილების პავილიონში. მათთან ერთად პროექტები დაათვალიერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარემ ი. ტ. ნოვიკოვმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა ვ. პ. აბიზოვმა და ა. ვ. გლადირევსკიმ, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. მ. ეგორიჩევმა და მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სხვა მუშაკებმა.

სკულპტორმა ე. ვ. ვუჩეტიჩმა ილაპარაკა გამარჯვების ძეგლის პროექტზე მუშაობის შესახებ, რომელიც უნდა აიგოს პოკლონნაია გორაზე.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს მოახსენეს იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც ხორციელდება დედაქალაქის ახალი სატრანსპორტო არტერიის — ახალი არბატის შექმნისათვის. (რომელიც ბულვარის შოსეს კუტუზოვის პროსპექტის გავლით დაუკავშირდება ალეა ... კალინინის ქუჩასა და მანეჟს.

მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონის ტექტონიკური ნაწილის განაშენიანების პროექტი წარმოადგინა არქიტექტორმა ი. ი. ლეონიდოვმა. ... თვე წინადადებანი, რომ იური დოლგორუკის ძეგლი გადატანონ საბჭოთა მოედნიდან ნოვო-დევიჩის მონასტრის რაიონში. როგორც ცნობილია, მოსკოვის საბჭოს შენობის წინ იდგა თავისუფლების ობელისკი (მოქანდაკე ნ. ა. ანდრეევის ნამუშევარი) — ერთ-ერთი პირველი რევოლუციური ძეგლი, რომელიც ააგეს ჩვენს დედაქალაქში 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ. სტალინის პიროვნების კულტის წლებში თავისუფლების ობელისკი მოსპეს. უახლოეს დროში მას აღდგენენ.

(საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვისა და რ. ი. მალინოვსკის განცხადებანი

საფრანგეთის ჯელევიზიისადმი

ამ დღეებში საბჭოთა ხალხმა, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის ხალხებმა, აღნიშნა მე-20 წლისთავი საბჭოთა არმიის გამარჯვებისა ვოლგის ისტორიულ ბრძოლაში, რომლითაც დაიწყო ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში და ევროპის განთავისუფლება ფაშისტური დამონებისაგან.

ამ ღირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით საფრანგეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის გენერალურმა დირექციამ მიმართა ვოლგის ბრძოლის მონაწილეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს და სთხოვა გაეზიარებინა თავისი მოგონებანი ამ დიადი ბრძოლის შესახებ. ასეთივე თხოვნით მიმართეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს რ. ი. მალინოვსკის. ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და რ. ი. მალინოვსკი ხალისით გამოეხმაურნენ ამ თხოვნას, გაუზიარეს თავიანთი მოგონებანი და ილაპარაკეს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეორე მსოფლიო ომის ამ უდიდეს მოვლენას საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მაგრამ, ეტყობა, ეს ინტერვიუ არ მოეწონათ საფრანგეთის მთავრობის ახლანდელ მეგობრებს — ბონელ რევანშისტებს. აშკარაა, მათ არ სურდათ, რომ ფრანგ ტელემაყურებლებს მეხსიერებაში აღედგინათ ჰიტლერელი ვაი-დამპყრობლების ავანტიურათა სამარცხვინო ფურცლები. თავიანთ დასავლეთგერმანელ მოკავშირეთა საამებლად საფრანგეთის ხელისუფლებმა აკრძალეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამხ. რ. ი. მალინოვსკის ინტერვიუს გადაცემა. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ გადაცემა აკრძალეს, როგორც კი დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის ინფორმაციის უწყებათა ხელმძღვანელების თათბირი, რომელზეც მიაღწიეს თანხმობას „გერმანიისა და საფრანგეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის თანამშრომლობის შესახებ“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ თანამშრომლობაში გადამწყვეტი სიტყვა ბონს ეკუთვნის.

ქვემოთ ქვეყნდება ტექსტები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამხ. რ. ი. მალინოვსკის განცხადებებისა, რომლებიც საფრანგეთის ტელევიზიისათვის გაკეთდა. ის, რაც ნათქვამია ამ განცხადებებში, ჰიტლერული აგრესიის სასტიკი დაგმობაა და ყველა იმათი გაფრთხილებაა, ვისაც უნდა კვლავ წავიდეს ასეთი გზით. მაგრამ სიმართლის სიტყვებს ვერ შეაჩერებენ ვერც საფრანგეთის ხელისუფალთა ბრძანებანი, ვერც მათ ბონელ მოკავშირეთა ბრძანებანი.

საფრანგეთის ტელევიზიის წარმომადგენელი ფრედერიკ როსიფი: საფრანგეთის რადიო და ტელევიზია აწყობს ვოლგის ბრძოლის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემას. ფრანგ ტელემაყურებელთა სახელით მინდა გთხოვოთ თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, თქვათ რამდენიმე სიტყვა ამ დიადი ბრძოლის შესახებ, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და უშუალო მონაწილეც თქვენ იყავით. ჩვენ აგრეთვე მოხარული ვიქნებოდით გადაგვეცა, თუ რას უსურვებთ ფრანგებს ამ ღირსსახსოვარ წლისთავთან დაკავშირებით.

ნ. ს. ხრუშჩოვი: სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და მზად ვარ ვესაუბრო ფრანგ ტელემაყურებლებს ვოლგის ისტორიული ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ.

არა მარტო ჩვენ, ამ ბრძოლის მონაწილენი, არამედ ყველა ჩვენი თანამედროვე და შთამომავალი, კვლავ და კვლავ მოიგონებს ამ უდიდეს ბრძოლას. ამ ბრძოლის გმირთა დიდება მარად იცოცხლებს.

იმ დროს მე სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ვიყავი, ხოლო ფრონტს სარდლობდა გენერალი, ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ი. ეროომენკო. არმიას, რომელიც ბრძოლებს თვით ქალაქში აწარმოებდა, სარდლობდა გენერალი, ამჟამად სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ი. ჩუიკოვი. მე კარგად ვიცი, თუ რა ძნელი და პასუხსაგები ამოცანა იდგა ჩვენი ჯარების წინაშე. ნახევარ წელიწადზე მეტ ხანს ჰიტლერელთა არმიის რჩეული ჯარები ცდილობდნენ გაეტეხათ ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა. გააფთრებული ბრძოლები არ წყდებოდა, არც დღისით, არც ღამით. საბჭოთა ხალხმა თავის შვილებს მისცა განაწესი: „იბრძოლეთ თავდადებით!“.

და მათ არათუ თავდადებით იბრძოლეს, არამედ სასტიკადაც დაამარცხეს მტერი. ვოლგის ბრძოლაში ალყაშემორტყმულ და მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა ჰიტლერელთა ჯარების ოცდაორი დივიზია — სულ 300 ათასზე მეტი კაცი. ვოლგის გამარჯვებამ გადაჭრით შეცვალა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის, მთელი მსოფლიო ომის მთელი მიმდინარეობა. ამ ბრძოლის შედეგი კაცობრიობამ ფაშიზმზე გამარჯვების განთიადად მიიღო.

ვოლგის ბრძოლაში საბჭოთა ადამიანებმა დაიცვეს არა მარტო თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობა, არამედ ყველა ხალხის დამოუკიდებლობაც, მთელ მსოფლიოში თავისუფლებისა და პროგრესის საქმე.

ათასობით კილომეტრი აშორებს საფრანგეთის მიწას ვოლგაზე მდებარე გმირ ქალაქს. მაგრამ საბჭოთა იარაღის ძლევამოსილი ზალპები საფრანგეთშიც გაიგონეს. ამ ზალპებმა აღაფრთოვანა ფრანგი პატრიოტები გაბედული ბრძოლისათვის ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ. ფრანგებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იცოდნენ, რომ ვოლგის ბრძოლაში დაიღუპა გერმანელ ფაშისტთა სწორედ ის მეექვსე არმია, რომელიც 1940 წელს შეიჭრა საფრანგეთში და სიკვდილსა და ნგრევას თესავდა იქ. 1942 წლის აპრილიდან 1943 წლის თებერვლამდე ჰიტლერელთა სარდლობა იძულებული გახდა საფრანგეთიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოეყვანა 25 დივიზია. ამან დასახა ხელსაყრელი შესაძლებლობანი დასავლეთ ევროპის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, ხელი შეუწყო წინააღმდეგობის მოძრაობას საფრანგეთში. წინააღმდეგობის მებრძოლებმა ბევრი სასახელო საგმირო საქმე განახორციელეს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

წარსული ომის ქარიშხლიან წლებში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხები ერთად იყვნენ. ჩვენი ხალხების მეგობრობა შედუღაბებულია სისხლით, რომელიც ერთად დავღვარეთ საერთო მტრის — გერმანელი მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერებას შესწირა სიცოცხლე მრავალი ქვეყნის ათეულ მილიონობით პატრიოტმა. ბევრმა მათგანმა, ვინც დღეს მისმენს, დაკარგა მამები და დედები, შვილები, რომლებიც ფაშისტთა ხელით დაიღუპნენ. ვიყოთ დაღუპულთა ხსოვნის ერთგულნი — ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიურად ვიბრძოდეთ მშვიდობისათვის, თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი. საბჭოთა ადამიანებმა გამოსცადეს სასტიკი ომის სიძნელენი და გაჭირვება. საბჭოთა კავშირმა ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო, რათა ეხსნა კაცობრიობა ფაშისტური ბარბაროსობისაგან, სიკვდილის ბანაკებისაგან, მაიდანეკისა და ოსვენციმის გაზის ღუმელებისაგან, ორადურის ტრაგედიისაგან. ჩვენმა ხალხმა პირნათლად შეასრულა თავისი ისტორიული განმათავისუფლებელი მისია.

საბჭოთა ხალხი ახლა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა. ჩვენ ვისახავთ არაჩვეულებრივი მნიშვნელობის ამოცანას — შეექმნათ საზოგადოება, რომელიც იცხოვრებს პრინციპით — თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით. მშვიდობა, და არა ომი გვესაჭიროება ჩვენ ამ დიადი მიზნის მისაღწევად. კომუნიზმი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ვაშენებთ, ამკვიდრებს მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ადამიანის თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას. არა მარტო ჩვენ, არამედ დედამიწის ყველა პატიოსან უბრალო ადამიანს ესაჭიროება მშვიდობა, და არა ომი და ნანგრევები. მშვიდობა ესაჭიროებათ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, მთელი ჩვენი პლანეტის დედებსაც, რომ უშიშარ პირობებში ზარდონ თავიანთი შვილები. სიკვდილი და განადგურება კი არა, არამედ სიცოცხლე და შემოქმედება სჭირდება მთელ კაცობრიობას, მთელი მსოფლიოს ხალხებს.

ამის გზა ერთია — სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. საბჭოთა კავშირი იცავდა და იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. ჩვენ ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ შეუპოვარ ბრძოლას მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მსოფლიო თერმოატომური ომის ხანძრის თავიდან აცილებაში კარიბის ზღვის რაიონში, ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი ერთგულება მშვიდობის საქმისადმი.

იმისათვის, რომ დავიცვათ და განვამტკიცოთ მშვიდობა, შეეწყვეტოთ გამალებული შეიარაღება, რომ თავიდან ავიცილოთ თერმოატომური ომი, საჭიროა მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთობლივი ენერგიული ღონისძიებანი.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა ხალხისა და ფრანგი ხალხის მეგობრობას. ეს მეგობრობა გვესაჭიროება როგორც თქვენ, ისე ჩვენ, როგორც საბჭოთა კავშირს, ისე საფრანგეთს, ამ მეგობრობაზე ბევრად არის დამოკიდებული მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში. როცა 1960 წელს საფრანგეთში ვიმგზავრე, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ფრანგ ხალხს მშვიდობისმოყვარული მისწრაფებები აქვს, რომელი ერთგულია მშვიდობის საქმისა, რომ მას სძულს ფაშიზმი. და საფრანგეთში ყოფნის დროს მიღებული ყველა ეს შთაბეჭდილება დღესაც ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში.

ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძირეული ეროვნული ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ, პირიქით, მოითხოვს ფართო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას. საფრანგეთი საბჭოთა კავშირზე ნაკლებად რრდია დაინტერესებული წარსული ომის ნაშთების ლიკვიდაციით და ევროპაში ვითარების ნორმალიზაციით. ამის შესაბამისი იქნებოდა გერმანიის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა.

ჩვენ გვსურს განვავითაროთ მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთთან, სხვა ქვეყნების ხალხებთან, რაც ხელს შეუწყობდა მშვიდობის განმტკიცებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მშვიდობისმოყვარე ქვეყანა ილაშქრებს იმ ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ომის საშიშროების ძველი კერების აღორძინებას. წარსულში ასეთმა პოლიტიკამ ევროპის ხალხებს მოუტანა მილიონობით მათი შვილის დაღუპვა. იგი განსაკუთრებით საშიშია ჩვენს დროში. ვისაც ნამდვილად სურს მშვიდობა ევროპაში, იგი ხელს არ უნდა უწყობდეს იმისა, რომ რევანშიზმისა და აგრესიის ძალებს ხელი მიუწვდეთ თერმოატომურ იარაღზე, ევროპას, ისევე როგორც ყველა კონტინენტს, ესა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

გამოვუშვათ ქართული კაპროლაქტამი—მაისში!

„დიდი ქიმიის“ გიგანტი რუსთავში

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს გამსვლელი სხდომა რუსთავში

შვიდწლედის მეხუთე წელს მწყობრში ჩადგება საქართველოს ქიმიური მრეწველობის გიგანტი — რუსთავის კაპროლაქტამის წარმოება. ეს იქნება ამიერკავკასიაში პირველი და სსრ კავშირში ერთ-ერთი უმსხვილესი ქიმიური საწარმო, რომელიც ძვირფას ნედლეულს — კაპროლაქტამს მიაწვდის ჩვენი სახალხო მეურნეობის მსუბუქ და მძიმე მრეწველობას. დიდი ქიმიის მშენებლობის დამკვრელური ფრონტის ობიექტის — ქართული კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობა რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანოების ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია. გუშინ აზოტოვანი სასუქების ქარხანაში შედგა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს სხდომა. შემუშავებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის.

□ □

ქართული ფოლადის სამშობლო, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქალაქი რუსთავი საქართველოში დიდი ქიმიის მშენებლობის მძლავრი კერაც არის. რუსთაველ ქიმიკოსებთან ერთად ქიმიური საწარმოების მშენებლობას სათავეში უდგანან რესპუბლიკის მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები. დიდი ქიმიის ობიექტების მშენებლობამ საყოველთაოსახალხო ხასიათი მიიღო. დღითიდღე ძლიერდება კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის ტემპი. ყველა ცდილობს დროულად დაამთავროს სამუშაოები იმ ვარაუდით, რომ ამ მძლავრმა საწარმომ მაისში პირველი პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

ქიმიური ობიექტების მშენებლობისათვის საერთო ზრუნვის მიუხედავად აქაც შავ ლაქებად მოჩანს ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის მხრივ უყურადღებობისა და დაუდევრობის ფაქტები. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობა გამოცხადებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტად და ოდნავი უყურადღებობა ამ დიდი საქმისადმი დანაშაულს უდრის.

გუშინ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიურომ თავისი გამსვლელი სხდომა მოაწყო რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში და სპეციალურად განიხილა საკითხი კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. ბიუროს სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც უშუალო პასუხისმგებლობა აკისრიათ რუსთავის დიდი ქიმიის მშენებლობისათვის.

ბიუროს სხდომა გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ბ. ა. გეგეშიძემ.

ბიუროს სხდომამ მოისმინა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველის ზ. ჯაფარიძისა და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორის ა. საღარეიშვილის ინფორმაციები კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ყველა პირობაა შექმნილი, რათა დაჩქარდეს და მაისში საექსპლოატაციოდ გადაეცეს ეს დიდი მნიშვნელობის საწარმო. კაპროლაქტამის მშენებლობის საკითხი ამ დღეებში განხილულ იქნა მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელზეც გადაწყდა უახლოეს პერიოდში დამთავრდეს პირველი ჯგუფის საამქროების მშენებლობა, რომ მარტში მიღებული იქნას ერთ-ერთი მთავარი პროდუქცია — ანოლი. ყველა სხვა საამქროს მშენებლობა კი უნდა დასრულდეს მარტის ბოლოსათვის, იმ ანგარიშით, რომ აპრილში მოხდეს მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა.

მიუხედავად ასეთი დიდი ამოცანებისა, ზოგიერთ სამშენებლო მოედანზე ნაკლებად იგრძნობა მუშაობის ტემპი. უნდა გამოვიყენოთ მთელი არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი მშენებლობის დასაჩქარებლად. საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა იგრძნონ სამონტაჟო ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ მშენებლობაზე აწარმოებენ ძირითად სამონტაჟო სამუშაოებს. მათ აქედანვე უნდა მიიღონ ზომები მემონტაჟე სპეციალისტთა რიცხვის გასაზრდელად, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ უზრუნველყოფენ სამონტაჟო სამუშაოების მოცემულ ვადებში შესრულებას.

საყურადღებო საკითხები დააყენა აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორმა ა. საღარეიშვილმა. მან თქვა, რომ მშენებლობისათვის ჯერ კიდევ არა აქვთ მრავალი მოწყობილობა და დანადგარები. სუსტია მშენებლობის მომარაგება ელექტრომოწყობილობით და გაყვანილობათა მასალებით. გადაწყვეტილი გვაქვს მოსკოვში მივავლინოთ სპეციალისტები ამ დანადგარების დროულად მისაღებად. ქარხნის ადმინისტრაციამ დროულად მიაქცია ყურადღება კაპროლაქტამის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკური კადრების მომზადებას, ამ მიზნით რამდენიმე კაცმა საწარმოო პრაქტიკა გაიარა ძერჟინსკის ქიმიურ ქარხნებში. ახლო მომავალში გადაწყვეტილი გვაქვს მეპარატეთა ერთი ჯგუფი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივავლინოთ ლისიჩანსკის ქიმიურ საწარმოებში. მაგრამ ეს კადრები საკმარისი როდია. შრომითი რეზერვების სამმართველოს ვთხოვთ სამუშაოდ მოავლინოს ახლად კურსდამთავრებული სპეციალისტები, სულ მცირე ორასი კაცი.

ბიუროს სხდომაზე „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოს უფროსმა ვ. იმნაძემ აღნიშნა, რომ დღეს კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობაზე დაძაბეთი გაიგზავნა 50 მემონტაჟე. მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. მემონტაჟეებს მუშაობაში ხელს უშლის ის, რომ საამქროებში მოწყობილი არ არის ელექტროგანათება. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე იმას, რომ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები შეთანხმებულად არ მუშაობენ, და დააყენა საკითხი ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მშენებლობის საჭირბოროტო საკითხებზე ილაპარაკა „კაველექტრომონტაჟის“ სამმართველოს უფროსმა ვ. კლაჩკომ. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ შედგეს მექანიზმების გამოცდის გრაფიკი, რათა თანმიმდევრულად მოხდეს მექანიზმების ჩართვა საერთო სისტემაში. მისი აზრით საჭიროა აგრეთვე დამკვეთმა ორგანიზაციამ აქედანვე მოამზადოს კადრები ამ მექანიზმებზე სამუშაოდ.

აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორის მოადგილემ კაპიტალური მშენებლობის დარგში ბ. მესხმა, მთავარმა ინჟინერმა ბ. ბრძელიძემ, „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველოს უფროსმა ბ. ფალესმა თავიანთ სიტყვებში უყურადღება გაამახვილეს მშენებლობის სპეციალისტებით უზრუნველყოფის, არსებული მექანიზმებისა და დანადგარების მოვლა-პატრონობის, ხარჯთაღრიცხვებში დაშვებული დეფექტების გამოსწორების და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჩოგოვაძემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა მშენებლობის ხარისხის დაცვის საკითხს, ამასთან მშენებელთა და მემონტაჟეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კაპროლაქტამის საწარმოს პირველი რიგის ძმენებლობის სამუშაოსთან ერთად დაჩქარებული ტემპით წარიმართოს მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოები. მან მიზანშეწონილად ჩათვალა განხორციელდეს რუსთავში მოქმედი სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია, რაც ხელს შეუწყობს კონტროლის გაძლიერებას და მემონტაჟეთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას.

კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ჯაფარიძემ, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გომელაურმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბაბუამ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ო. გოცირიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგემ ბ. პაპაკიძემ, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ბ. ქართველიშვილმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. ღვინჯილიამ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა და სხვებმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გ. ა. გეგეშიძემ მშენებელთა უყურადღება გაამახვილა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის — კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. როგორც მან თქვა, ეს ობიექტი ერთადერთია, რომელიც წელს შეეძლება ჩვენი ქვეყნის დიდი ქიმიის მრეწველობას. აქ მიღებული ქართული კაპროლაქტამის პროდუქციის ხარჯზე იმუშავებს ბევრი ქიმიური ქარხანა.

— მშენებლების, მემონტაჟეების პირველი რიგის ამოცანა, — თქვა მან, — ის არის, რომ მთელი არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენებით მაისში უზრუნველყონ ქართული კაპროლაქტამის პირველი პროდუქციის მიღება.

კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის დაჩქარების მიზნით ბიურომ შექმნა სპეციალური შტაბი, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობას და დროზე მიიღოს ზომები მშენებლობაში შექმნილ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად.

ბიურომ დაამტკიცა კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის ერთკვირეული გრაფიკი, რომლის მიხედვით დაწესებულია კონკრეტული ვადები ცალკეული სამუშაოების დასამთავრებლად.

დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით ბიუროომ „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოს დაავალა 12 თებერვლამდე დაამთავროს № 954 კორპუსის სამონტაჟო სამუშაოები, ამავე კორპუსების დარჩენილი სამუშაოების შესრულება დაეკალამ „თერმოიზოლაციის“, „კავსანტეხმონტაჟის“, „სპეცმშენის“, „ქიმმრეწვმშენის“ და „მრეწვენტილაციის“ სამმართველოებს.

№ 956 კორპუსზე საკეტი არმატურის დადგმა და არსებული ხარვეზების გასწორება დაეკალა „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოს. ამავე კორპუსზე ერთი კვირის ვადაში, „თერმოიზოლაციის“ სამმართველომ უნდა დაამთავროს ყველა მილსადენისა და აპარატის თერმოიზოლაცია. „სპეცმშენის“ სამმართველოს დაევალა დაიწყოს შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოები.

№ 966 კორპუსზე სამონტაჟო ორგანიზაციებმა „იუჟენერმონტრომენტმა“, „სტროიტერმოიზოლაციამ“, „კაველექტრომონტაჟმა“, „სკეიაზჩერმეტმა“ და „ქიმმრეწვმშენმა“ უნდა გაფორმონ საექსპლოატაციოდ გადაცემის აქტები და გაასწორონ შესრულებულ სამუშაოებში არსებული ხარვეზები.

აღნიშნულ სამონტაჟო-სამშენებლო ორგანიზაციებს დაევალათ აგრეთვე ერთი კვირის განმავლობაში უზრუნველყონ ყველა სახის სამუშაოს დამთავრება № 341 და № 955 კორპუსებზე.

ბიუროომ გადაწყვიტა ყოველ შაბათობით გაიმართოს კაპროლაქტამის საწარმოს მშენებელთა თათბირი, რომელიც განიხილავს დაწესებული გრაფიკის შესრულების მიმდინარეობას, შეიმუშავებს დამატებით ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

ი. ბეჟაშვილი,
ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

* * *

სურათზე: რუსთავის კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის ერთ-ერთი უბანი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

□ □

□ **რუსთავში** მიღებული კაპრონის ძაფისაგან მოიქსოვება საუკეთესო ხარისხის ფინდები, ჟურნალები, ხალათები. აქვე მიღებული კორდისაგან დამზადდება ავტომანქანების მილისები, კბილანები, იზოლატორები და ა. შ.

□ **რუსთავში** კაპროლაქტამის მშენებლობას უმრავლეს 29 ჰექტარი ფართობი. აქ შესრულებულია 2,5 მილიონი კუბმეტრი მიწის სამუშაოები. დამონტაჟებულია 70.000 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, ჩასხმულია 150.000 კუბმეტრი მონოლითური ბეტონი და რკინაბეტონი.

□ **კაპროლაქტამის** წარმოების ნორმალური მშენებლობისათვის საჭიროა აიწყოს 14 ათასი ტონა ტექნოლოგიური მოწყობილობა. მიწისქვეშა და მიწისზედა გაყვანილობისათვის საჭიროა ჩალაგდეს 260 ათასი კილომეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილები.

დამკვრელურ ფრონტს—დამკვრელური ზრომა!

ნ. ს. ხრუშჩოვისა და რ. ი. მალინოვსკის განცხადებანი

საფრანგეთის ჯელევიზიისადმი

(დასასრული)

ჭირდება არა ომის საშიშროების კერების აღორძინება, არამედ მათი აღმოფხვრა, არა ახალ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნა, არამედ ყველა ქვეყანას შორის მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცება.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვუსურვებ მშვიდობასა და აყვავებას ჩემს მსმენელ ფრანგებს, მთელ ფრანგ ხალხს. ოცი წლის წინათ ჩვენი ქვეყნების ხალხები ერთად იბრძოდნენ მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. დაე ჩვენი ხალხები ახლაც ერთად იყონ მშვიდობის დაცვასა და თერმოატომური ომის თავიდან აცილებაში! გმადლობთ ყურადღებისათვის.

ფრედერიკ როსიფი. ბ-ნო მინისტრო, წარსულ ომში თქვენ უშუალოდ იღებდით მონაწილეობას სტალინგრადის ბრძოლაში. გთხოვთ გვიამბოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ამ დიდი ბრძოლის შესახებ. ფრანგი ტელემაყურებლებისათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება მოგისმინონ თქვენ, რამდენადაც თქვენ, ბ-ნო მარშალო, ერთ დროს საფრანგეთის მიწაწყალზეც იბრძოდით რუსეთის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში.

რ. ი. მალინოვსკი. სიამოვნებით შევასრულებ თქვენს თხოვნას.

თვითეული ქვეყნის ისტორიაში არის სახელოვანი მოვლენები, რომლებიც არასოდეს არ წაიშლება ხალხის მეხსიერებაში. ვისთვის არ არის ცნობილი ვერდენი? ეს ქალაქი ისტორიაში შევიდა როგორც სიმბოლო თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის გმირობისა, ფრანგი ჯარისკაცების თავდადებული სიმამაცისა. ვოლგის გმირი ქალაქი განასახიერებს უმაგალითო სიმტკიცესა და სიმამაცეს, რაც საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა მეომრებმა გამოიჩინეს მთელი კაცობრიობის მტრების — გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ამ ქალაქთან ბრძოლაში საბჭოთა არმიამ სტრატეგიული ინიციატივა გამოგლიჯა მტერს და ხელიდან არ გაუშვია იგი ომის ძლევამოსილად დამთავრებამდე.

ჰიტლერელთა სარდლობის განზრახვა 1942 წლის ზაფხულისათვის ის იყო, რომ მთავარი ღონისძიებანი წარემართა ფრონტის სამხრეთ ფრთაზე, გაენადგურებინა აქ საბჭოთა ჯარები, გაჭრილიყო კავკასიისა და ვოლგა-საკენ, ხელთ ეგდო სსრ კავშირის დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონები, განსაკუთრებით ნავთობის მოპოვების წყაროები, და შეექმნა ხელშემწყობი პირობები იმისათვის, რომ დაემთავრებინა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1942 წელს.

მოწინააღმდეგემ ისარგებლა იმით, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არ იყო, და 1 ივლისისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე თავი მოუყარა 237 დივიზიას. სამხრეთის ფრთაზე მან შექმნა ძალებისა და საშუალებების, განსაკუთრებით ტანკებისა და ავიაციის უპირატესობა, ჯაჭვნია საბჭოთა ჯარების თავდაცვა და დაიწყო განვითარება შეტევისა ვოლგისა და კავკასიისაკენ.

1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე მთავარი მოვლენები განვითარდა სტალინგრადის (ამჟამად ვოლგოგრადის) რაიონში. აქ ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა ომების ისტორიაში. ჰიტლერელებმა ამ დიდი ქალაქის ხელში ჩასაგდებად გამოიყენეს მე-6 არმია. მაგრამ საბჭოთა ჯარების გმირულმა წინააღმდეგობამ აიძულა ისინი ბრძოლაში ჩაებათ დამატებით თავიანთი მე-4 სატანკო არმია, რუმინეთის მე-3 და მე-4 და იტალიის მე-8 არმიები. მოწინააღმდეგის დაჯგუფებაში იყო 50-ზე მეტი ქვეითი და სატანკო დივიზია და ავიაციის დიდი ძალები.

ვოლგის ცახე-სიმაგრე ფაშისტური გერმანიის რჩეული ჯარების სამარე გახდა. ჰიტლერელთა სარდლობა აქ გზავნიდა თითქმის მთელ შეკვრებას — 250 ათასამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს ყოველთვიურად, ტანკების, ქვემეხების, ნაღმსატყორცნების ძირითად მასას. მაგრამ ყველაფერი ეს იწვოდა ქალაქის კედლებთან. საბჭოთა მეომრებმა გაუძლეს მტრის გააფთრებულ შეტევას, სისხლისაგან დაცალეს იგი და აიძულეს თავდაცვაზე გადასულიყო. დამპყრობლებმა 1942 წლის ივლის-ნოემბერში დაკარგეს 650 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი — მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით.

საბჭოთა ჯარების წინაშე იდგა ამოცანა არა მარტო შეეჩერებინათ მტერი, არამედ კიდევაც გაენადგურებინათ იგი. ჩვენი კონტრშეტევის დასაწყისისათვის ძალების საერთო თანაფარდობა სტალინგრადის მიმართულებით დაახლოებით თანაბარი გახდა, მაგრამ ტანკებისა და არტილერიის მხრივ უკვე ჩვენს ჯარებს ჰქონდათ უპირატესობა.

ჩვენს წინაშეა სქემა, რომელზეც ნაჩვენებია გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების მსვლელობა.

1942 წლის 19-20 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთის, დონისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარებმა დაიწყეს შეტევა შესაყარი მიმართულებებით და უკვე 23 ნოემბერს სალამოსათვის დამთავრეს მტრის მე-6 არმიისათვის და მე-4 სატანკო არმიის ძალების ნაწილისათვის ალყის შემორტყმა. რკინის რკალში მოექცა 22 დივიზია და ბევრი სპეციალური ნაწილი — სულ 300 ათასზე მეტი კაცი. ნოემბრის დამლევსა და დეკემბერში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლას გარემოცული დაჯგუფების წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხეს მანშტაინის ჯარები, რომლებიც ცდილობდნენ გარედან შეჭრილიყვნენ ალყაშემორტყმულ ჯარებთან და ალყიდან გაეყვანათ ისინი.

1943 წლის 10 იანვარს მას შემდეგ, რაც მტერმა უარყო საბჭოთა სარდლობის ჰუმანური წინადადება კაპიტულაციის შესახებ, დონის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს დიდი ბრძოლის დასკვნითი ოპერაცია. ალყაშემორტყმული დაჯგუფება დანაწევრებულ იქნა ნაწილებად და 2 თებერვალს მთლიანად იქნა ლიკვიდირებული. ტყვედ წამოყვანილ იქნა მოწინააღმდეგის 91 ათასი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი.

1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე გერმანელ ფაშისტთა არმიამ გმირ ქალაქთან დაკარგა 800 ათასზე მეტი კაცი. მტერმა დაკარგა 32 დივიზია და 3 ბრიგადა, ხოლო მისმა 16 დივიზიამ სერიოზული დამარცხება განიცადა. საბჭოთა ჯარებმა მოსპეს და ხელთ იგდეს 2 ათასამდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 2 ათასამდე საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავი, 10 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 70 ათასი ავტომანქანა. გამარჯვებამ ვოლგაზე ცხადყო საბჭოთა სტრატეგიის უპირატესობა ფაშისტური გერმანიის ავანტიურისტულ სტრატეგიასთან შედარებით.

ვოლგის ბრძოლაში უდიდესმა ზარალმა ძირი გამოუთხარა გერმანელ ფაშისტთა არმიის ძლიერებას, საფუძვლამდე შეარყია ჰიტლერელთა სამხედრო მანქანა. 1943 წლის 1 თებერვალს სამხედრო თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა: „...შეტევის საშუალებით აღმოსავლეთში ომის დამთავრების შესაძლებლობა აღარ არსებობს“.

წარსულ ომში საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე გადაიტანეს. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოისპო გერმანელ ფაშისტთა არმიისა და მისი სატელიტების ჯარებისა და საომარი ტექნიკის ძირითადი მასა, გადაწყდა ევროპაში ჰიტლერული „ახალი წესრიგის“ ბედი. საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა გზა გაკაფეს საფრანგეთის განთავისუფლებისათვისაც. ეს ფაქტი ჯეროვნად შეაფასა საფრანგეთის საზოგადოებრიობამ. ჩვენ გვახსოვს სიტყვები, რომლებიც გენერალმა დე გოლმა წარმოთქვა 1944 წლის დეკემბერში: „ფრანგები იცან, — თქვა მან, — რა გაეწია მათ ომში — ჯერ ერთმა, და იცან, რომ სწორედ საბჭოთა რუსეთმა, — ... მთავარი როლი მათ განთავისუფლებაში.

მტერზე საერთო გამარჯვების საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს ფრანგმა ხალხმა და სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებმა. გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში იშვა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საბრძოლო თანამეგობრობა. ეს თანამეგობრობა შედუღაბებულია ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილთა სისხლით. პირველი მსოფლიო ომის დროს ფრანგ ჯარისკაცებთან ერთად საფრანგეთში იბრძოდნენ ჯარისკაცები რუსეთის საექსპედიციო კორპუსისა, რომლის შემადგენლობაშიც მე მომიხდა მემსახურნა. მეორე მსოფლიო ომში აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა მეომრების მხარდამხარ იბრძოდნენ სახელგანთქმული საავიაციო პოლკის „ნორმანდია — ნემანის“ ფრანგი მფრინავები.

თუ ჩვენმა ხალხებმა შეძლეს გაეერთიანებინათ თავიანთი ღონისძიებანი ორ მსოფლიო ომში, მით უმეტეს შეუძლიათ მათ ერთად დაიცვან მშვიდობის საქმე. ამის საშინდარია მჭიდრო ტრადიციული მეგობრობა, რომელიც აკავშირებს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხებს.

დღეს, როცა სტალინგრადის ბრძოლის მე-20 წლისთავს აღვნიშნავთ, საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ გერმანიის მილიტარიზმი კვლავ ემუქრება მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას. საბჭოთა ადამიანებს როდი აშინებთ გადარჩენილი ჰიტლერელების მუქარა. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს ყოველივე საჭირო აქვთ, რათა გაანადგურონ ყოველი აგრესორი. ის, ვინც ატეხს თერმოატომურ ომს, უთუოდ თვითონ დაიწვება მის ალში. მაგრამ მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის არ უნდა დავუშვათ, რომ რევანშისტებმა და ომის სხვა გაჩაღებლებმა სასიკვდილო საფრთხე შეუქმნან ასეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს.

დასასრულ მინდა ვუსურვო ფრანგ ხალხს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სურვილს სავსებით იზიარებს მშვიდობის ყველა მეგობარი საფრანგეთში, მათ შორის ორი მსოფლიო ომის ვეტერანები, რომლებმაც თავიანთი სისხლი დაღვარეს მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრების უფლებისათვის. ვსარგებლობ შემთხვევით და მხურვალე სალამს გადავცემ წარსულ ომებში მათი თანამებრძოლი საბჭოთა მეგობრებისაგან.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შუა აზიის ეკონომიური რაიონის შექმნის შესახებ

შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომ წარმატებითი განვითარებისა და სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის ინტერესებისათვის და მხედველობაში იღებს რა უზბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების წინადადებებს შუა აზიის რესპუბლიკების მრეწველობის ხელმძღვანელობის ერთიანი ორგანოს შექმნის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას შუა აზიის ეკონომიური რაიონი უზბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების ბაზაზე.

შუა აზიის ეკონომიური რაიონის მრეწველობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას სახალხო მეურნეობის საბჭო.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს და გადაწყვიტოს შუა აზიის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1963 წლის 5 თებერვალი.

აგიტატორები ამ დღეებში

ცხაკაიელი მშრომელები აქტიურად ემზადებიან საბჭოების არჩევნებისათვის. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება ლექციები, მოხსენებები, საუბრები. 1.600-ზე მეტი აგიტატორი ამომრჩევლებს განუმარტავს საბჭოთა კონსტიტუციის დიდ პრინციპებს, საარჩევნო დებულებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

ყურადღებას იპყრობს...

დუშეთი. (საკ. კორ.). დღისით და ღამით შორიდანვე ყურადღებას იპყრობს სოფელ ნიჩბისის აგიტპუნქტი, რომელსაც საშუალო სკოლის დირექტორი ქ. მაკარაშვილი ხელმძღვანელობს. ლამაზად გაფორმებულ დარბაზში ყოველ საღამოს თავს იყრიან ამომრჩევლები, საინტერესო საუბრებს მართავენ მორიგი აგიტატორები.

ამჟამად რაიონში მუშაობს 70 აგიტპუნქტი. საარჩევნო უბნებსა და საწარმოო ბრიგადებში საუბრებს მართავს რვაასზე მეტი აგიტატორი. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ მცხეთის შეკვეთნახეობის საბჭოთა მეურნეობის და სასელექციო სადგურის აგიტპუნქტები, რომლებსაც ა. ბერდიული და ს. თევდორაძე ხელმძღვანელობენ.

ახალქალაქი ემზადება

ახალქალაქის მაღალმთიანი რაიონის მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრებს აგიტპუნქტები წარმოადგენენ. საარჩევნო კამპანიის პერიოდში აქ შეიქმნა 85 აგიტპუნქტი, დამატებით გამოიყო ასობით აგიტატორი. ბევრი აგიტპუნქტი კარგად არის გაფორმებული, უნარიანად იყენებს პოლიტიკური მუშაობის მოწინავე ფორმებსა და მეთოდებს.

ამას წინათ გაიმართა აგიტპუნქტების გამგეების რაიონული თათბირ-სემინარი.

ბ. მელიქიძე.

აგიტპუნქტის ჩიტაღდნეები

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 2 საღნობი საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც გ. კაპანაძე ხელმძღვანელობს, დადგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. ახალგაზრდა მეტალურგები ყოველდღიურად დავალების ზევით უშვებენ ერთნახევარ ტონა ფეროშენადნობს და ზოგავენ 3-4 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას. **სურათზე:** მდნობელთა ბრიგადირი ვ. კაპანაძე.

ფოტო **გ. გერსამიასი**
(საქართველოს ფოტოქრონიკა).

ზღვისპირა ქალაქში

ათასზე მეტი აგიტატორი ეწევა წინასაარჩევნო აგიტაციას კოლხიდის ზღვისპირა ქალაქის მშრომელებში. ფოთში ამჟამად 17 აგიტპუნქტია.

კარგად მოაწყეს მუშაობა ნავსადგურის, რკინიგზის, ცენტრის მეორე, ნინოშვილის პირველმა და სხვა აგიტპუნქტებმა. აგიტატორები საცხოვრებელი უბნების მიხედვით აწყობენ საუბრებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, პარტიის პროგრამის და სხვა საკითხებზე.

გაიმართა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და აგიტპუნქტების გამგეთა საქალაქო თათბირ-სემინარი, რომელზეც განხილულ იქნა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოწყობის პრაქტიკული საკითხები. შემუშავებულია საწარმო-დაწესებულებებსა და აგიტპუნქტებში ლექციათ-მოხსენებების ჩატარების გეგმა. ლექტორ-მომხსენებლებმა ბევრგან უკვე გაამართეს საუბრები თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის“, „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მთელ მსოფლიოში“, „არჩევნები ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში“, „სკკპ პროგრამა საბჭოებისა და სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების განვითარების შესახებ“ და სხვ.

კ. კომახიძე.

არჩევნებისადმი მიძღვნილ ვახტზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივი გაცხოველებით ეგზავდება მომავალი არჩევნებისათვის.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივი არჩევნებისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე დგას და წარმატებას წარმატებაზე აღწევს. ტრაქტორების გამოშვების იანვრის დავალება აქ ოც დღეში გაანადგდეს.

ტრაქტორმშენებლებმა გადაწყვიტეს პირველი კვარტალის დავალება არჩევნების დღისათვის — 17 მარტისათვის შეასრულონ.

მთების გულში

ჯვარი სამეგრელოს ერთ-ერთი უძველესი სოფელია. ამ სოფლის ციხის ქონგურებს მრავალი ჭირვარამი ახსოვთ — გარეშე მტრებთან ბრძოლა, ძმათა სისხლის ღვრა. ღარიბი ლაკადელი გლეხი სარჩო-საბადებელს სხვაგან ეძებდა. ის ხან ნახირს მწყემსავდა ჯვრის ტყეებში და მალარიის მსხვერპლი ხდებოდა, ხან სვანეთის მიუვალ ტყეებში ხეებს ჭრიდა, ეგურზე აცურებდა, და ვინ იცის რამდენს სამუდამო სამარე უპოვნია ამ ბობოქარი მდინარის ფსკერზე.

1933 წელს ამხალის პირველმა აფეთქებამ მყუდროება დაურღვია სვანეთის ზეიად მთებს და შორს თოვლიან მწვერვალებში შეაღწია.

ჯვარში, მდინარე მაგანაზე დაკიდული ხიდი აიგო და ჯვარი გახდა ძლაცდარმი, სასტარტო მოედანი. ის უმასპინძლდებოდა ასობით გეოლოგიურ ექსპედიციებს, რომლებიც ძვირფას მადნებს ეძებდნენ მთების გულში. ჯვარელები ისევ აცურებდნენ სვანეთის ხეებს ბობოქარ ეგეურზე, მაგრამ ახლა ორგანიზებულად და უფრო სასარგებლო საქმისათვის — ქართული ქაღალდის შესაქმნელად.

ახლა იშვიათია ადამიანი ჩვენს რესპუბლიკაში, რომელსაც ჯვარის სახელი არ სმენია. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც დაიწყო მდინარე ენგურზე უდიდესი ჰესის მშენებლობა. ახლა ჯვარში შენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაჩაყთ რკინიგზა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ სასარგებლო საქმეს აკეთებს ჯვარელი გლეხი და მუშა.

ჯვარიდან 13 კილომეტრის დაშორებით ხუდონის უბანში არის თაბაშირის, გაჯისა და ანპიდრიტის საბადო.

თაბაშირის საბადოს ტერიტორიული მოხაზულობა სამი კვადრატული კილომეტრია. თაბაშირის ბუნებრივი მარაგი 150 წლით არის გაანგარიშებული. მშენებლებმა მეტად ძნელი სამუშაო შეასრულეს. კარიერამდე გაიყვანეს 9 კილომეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის გზა. იგი მთლიანად მოხრეშეს. მთის მდინარე ცაღრიდან გამოპაყავთ წყალი.

— მახსოვს, — ამბობს აღრიცხვის დარგის ძველი მუშაკი ჟ. ჭანტურია, — რომ 1933 წელს დავიწყეთ თაბაშირის საბადოს კუსტარული დამუშავება. არც გზები გვქონდა, არც ტრანსპორტი. 1946 წლამდე ასე პრიმიტულად ვმუშაობდით.

ახლა კარიერზე შენდება 2 საკომპრესორო. გარეცხილ 50-60 კუბმეტრის მოცულობის ქვებს კომპრესორით გაბურღავენ, დაშლიან ნაწილებად და-კეთილმოწყობილი გზით გადაზიდავენ ჯვარზენში.

ჯვარზენში შენდება თაბაშირის გამაფხვიერებელ-გამამდიდრებელი ქარხანა, რომელიც საექსპლოატაციოდ 1963 წელს გადაეცემა. ქარხნის წლიური წარმადობა 200 ათასი ტონა იქნება.

ხუდონის თაბაშირის კარიერის სამშენებლო უბნის უფროსად მუშაობს გამოცდილი ინჟინერი მ. ქანთარია. იგი უარტენზიო, დინჯი და დაკვირვებული მუშაკია. მშენებლთა კარგ კოლექტივს ბევრი რამ აქვს საამაყო, მაგრამ მიღწევებზე ბევრს ვერაფერს ათქმევინებთ. მშენებლებმა გასული წლის დავალება 20 დეკემბრისათვის შეასრულეს. კიდევ უფრო გაძლიერეს მუშაობის ტემპი ახალი წლის პირველი დღეებიდანვე. დავალებას თვითეული სამშენებლო უბანი გადაჭარბებით ასრულებს.

მშენებლების საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიეძღვის კალატაზენის, დურგლებისა და მერამატურთა ბრიგადებს, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობენ ლეონიდე ანტონიუკი, ალექსი ფიდუნენკო და ტატაჩი შეროზია. ქებით იხსენიებენ მექანიზატორებს ინდიკო ქანთარიას, შოთა სურმავას, გიგლა ცხადაიას, ჯუმბერ ჭურაძეს.

— მიღწევები უფრო მეტი გვექნებოდა, — ამბობს პარტორგანიზაციის მდივანი პაპუ ჭანტურია, — რომ ტრანსპორტის მხრივ სიძნელეებს არ განიცდიდეთ.

სწორი აღმოჩნდა პარტორგანიზაციის მდივნის საყვედური. ტრანსპორტი ძლიერ აბრკოლებს მშენებლებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შარშან გადაზიდვის 11 თვის გეგმა 81 პროცენტით იქნა შესრულებული. კარგი იქნება, თუ მიმდინარე წლიდან ადგილზე შეიქმნება ავტოკოლონა.

აქ ბევრი რამ კეთდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მიმდინარეობს ელექტრობაზის გაყვანა. შენდება საექიმო პუნქტი და კანტორა. მალე დაიწყება სამსართულიანი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

მალე მთების გულში შეუდგებიან ხაიშის ბარიტის დამუშავებას. გაიყვანენ 9 კილომეტრის სიგრძის მისასვლელ გზას კარიერამდე. დაიწყება გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა.

გაიკლის მცირე ხანი, და საწარმოთა მწყობრში ჩადგება თაბაშირის გამაფხვიერებელ-გამამდიდრებელი ქარხანა.

გ. ნოდია.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სინდისის ხმა

მაშინ ქვეყნად სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის რბევა-თარეში იწყებოდა. იმპერიალიზმის ოკეანეში მარტოდ-მარტო დარჩენილმა საბჭოთა სახელმწიფომ ადამიანის ღირსების დასაცავად მიღებული დეკრეტით იმთავითვე ხმა აღიმაღლა: საბჭოთა სახელმწიფოს არ ესაჭიროება ეკლესიის მხარდაჭერა. ხალხის საკუთრებად აქცევს ეკლესიის ქონებას, აუქმებს სარწმუნოებრივი მდგომარეობის მიხედვით პრივილეგიებს. ამიერიდან მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერას სამოქალაქო ხელისუფლებას გადასცემს. ეს იყო ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. ეს იყო 45 წლის წინათ.

რელიგია გახდა თვითეული მოქალაქის კერძო საქმე. რაოდენ გულმოდგინე და გააზრებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობით წარმოუდგა ადამიანის გამოხსნა რელიგიის ცრურწმენებისაგან, რომელიც მას დაბადებიდან გარდაცვალებამდე თან სდევდა და არ ასვენებდა.

საბჭოთა ადამიანი საკუთარი ცხოვრების მაგალითით მივიდა ბედნიერების ზეცაში ძებნის უაზრობამდე. სინდისის ხმამ მასვე შეჰღაღადა, რომ სიხარული და ნეტარება მიწაზეა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში, ადამიანურ ყოფაშია, და არა „იმქვეყნიურ სამოთხეში“.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ისტორიის არცერთ მონაკვეთში ეკლესიის თვალი არ მიულულავს. სხვადასხვა დროს, სახელმწიფოსადმი აშკარად მტრული თუ ლოიალური დამოკიდებულებით, მუდამ იბრძოდა არსებობის შესანარჩუნებლად, სინდისის თავისუფლების მეტად მოხერხებული გამოყენებით ფხიზლად დარაჯობდა ადამიანებს. საკმარისი იყო სწორი გზის ძიებაში ადამიანს ფეხი დასცდენოდა, თავსდატეხილი რაიმე განსაცდელით დაძაბუნებულიყო, გარემო საზოგადოების გავლენა, კოლექტივის სიფხიზლე, ტოლ-სწორთა ყურადღება მოდუნებულიყო, — ეკლესია მასთან გაჩნდებოდა. გულის დარდის მოჩვენებითი შემსუბუქებით, ღვთის მსახურების იაფფასიანი ეფექტებით თავის გავლენისქვეშ იქცევდა მალემრწმენს.

განა ეკლესიის გავლენამ არ ააღორძინა ხელი ყოფილი მაიაკოვსკის რაიონის სოფელ პირველი ფერასათის მკვიდრთ — ბიჭიკო და გურამ შალამბერიძეებს სწავლის გაგრძელებაზე და არ აიძულა ისინი სასულიერო სასწავლებელში შესვლა ეთხოვათ? (გურამი მაშინ ჯარში გაიწვიეს, ბიჭიკო კი დიდის სიამოვნებით მიიღეს მოსკოვის სასულიერო სასწავლებელში).

როგორ გაჩნდა პირველად იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში პატარა გოგონა ზოია კ.? — დედამ შეაჩვია ეკლესიის ცერემონიალებს, ღვთის მსახურებას და გახადა იგი ეკლესიის რიტუალების უდრტვინველი და მორჩილი შემსრულებელი.

უსულგულო მშობლების კისერზეა ბავშვის სულიერი დამახინჯების დიდი დანაშაული. ოჯახურ პირობებში იძენს ბავშვი გარემომცველ სამყაროზე პირველ შეხედულებებს. აქ იგებს იგი კარგისა და ცუდის მნიშვნელობას. და თუ სკოლისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ყურადღება შენელებულია, ეკლესია ნოყიერ ნიადაგს პოულობს ფესვის გასადგმელად. სარწმუნოების გასაღვივებლად.

იცოდა კი სკოლამ, პიონერულმა ორგანიზაციამ, რომ ლანჩხუთის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები რავიკი, გენადი და ელვირა ციბეკოები, ვალოდია ლომინაძე სალოცავად დაპყავდათ დედებს? გაკვეთილების სწავლის ნაცვლად ელვირა საერთო რვეულში იწერდა და იზეპირებდა რელიგიური წიგნებიდან ამოკრეფილ ლოცვებს.

საკმაოდ ხალხმრავალია კახეთსა და ქართლში, აჭარასა და ოსეთში რელიგიური დღესასწაულები, რადგან ზარი და ზეიმი იტაცებს ყურადღებას. თუ საეკლესიო დღესასწაულების მოწყობა შეიძლება ასეთი დიდი ეფექტით, ხალხური ზეიმების ეროვნული, ლამაზი ფეს-ჩვეულებების ჩატარება უფრო არ უნდა იყოს შესაძლებელი?

ჩვეულებები და ტრადიციები ძლიერნი არიან. გავხადოთ ისინი მასობრივნი, შევქმნათ ახალი, ჩვენი სინამდვილის შესაფერისი ჩვეულებები და ტრადიციები. ჩავატაროთ შრომის, მოსავლის, ყვავილების დღესასწაულები; ბავშვთა, ახალგაზრდობის, სიმწიფის ატესტატის მიღების, მასწავლებლის დღეები; ღირსშესანიშნავი თარიღების აღმნიშვნელი ზეიმები; მეცხვარის, ზეინკლის, კოლმეურნის, სტუდენტის საღამოები და სხვადასხვა.

გავხადოთ ტრადიციად ახალ დაქორწინებულთა ბაღებისა და ხეივნების გაშენება. კარგია, მაგრამ ჯერ კიდევ რატომ არის ასე ცოტა კომკავშირული ქორწილები?

მოსკოვში, ლენინგრადში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, თვალწარმტაცი, ჭალებით განთებული სასახლეები აქვთ დათმობილი ქორწინებისათვის. რატომ არ უნდა ჰქონდეთ იგი საქართველოში? რატომ უნდა ხდებოდეს ასე უფერულად, ეფიმერულად, ბედნიერ წყვილთა შეერთება მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ზოგიერთ ბიუროში?

რუსთავში, გორში, თბილისში, სადაც ამ ბოლო დროს სექტების გამოცოცხლება იგრძნობა, საინტერესოდ ჩატარებული კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები ხელს შეუწყობდა რელიგიის ბურუსისაგან ადამიანის დახსნას.

გამოყენებულია კი საჭიროებისამებრ თვალსაჩინოების ყველა საშუალება: თეატრები, კინო, მუზეუმები?

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში შექმნილია სამეცნიერო ათეისტური კაბინეტი, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის მისი არსებობის შესახებ.

მისასალმებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათეიზმის კათედრის ჩამოყალიბება და ათეიზმის საფუძვლების კურსის შემოღება, მაგრამ იქნებ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო მისი სავალდებულო შესწავლა?

არც ქართულ ენაზე ორიოდე ბროშურის არსებობა შეუწყობს სათანადოდ ხელს მეცნიერულ-ათეისტური ცოდნის გავრცელებას. რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ათეისტური ცნობარის, კალენდრის გამოცემა, სახელმძღვანელოს შექმნა, პოპულარული ათეისტური ლიტერატურისათვის ზრუნვა?

სკკპ XXII ყრილობის მასალებში აღნიშნულია, რომ საჭიროა შეიქმნას მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის მოფიქრებული, მწყობრი სისტემა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა ჩაბმა, მათი პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოება, ინდივიდუალური, გულმოდგინე მუშაობა უნდა შეადგენდეს კომუნისტური მშენებლობის განუყოფელ ნაწილს.

სიცოცხლე სიხარულია, მაგრამ აგერ ბედნიერ ყოფას ჩამორჩა ერთი ადამიანი. მას ზურგი რომ ვუქციოთ, სინდისის ხმას სად გავექცევით! დავეხმაროთ მას, რომ ფეხზე წამოდგეს, ხელი გავუწოდნოთ, რომ გვერდში ამოგვიდგეს, საკუთარ ქცევას დაუკვირდეს, თვითგანსჯის უნარი დაუბრუნდეს.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული როგორ აღიქვამს ადამიანი სხვის ტკივილებს, რამდენად აქვს შეგნებული თავისი მაღალი დანიშნულება საზოგადოებისა და საკუთარი თავის წინაშე.

თინა ზარგინავა.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, კვირა,

10 თებერვალი, 1963 წ.

საზოგადოების მკაცრი კონტროლით

როდემდის?!

ზამთარი ძალაშია. მართალია იგი ძლიერ მკაცრი და სუსხიანი არ არის, მაგრამ მაინც თავისას შვრება.

ფანჯრების მინა სწორედ ახლაა აუცილებელი. მაგრამ მას ამაოდ დაუწყვეთ ძებნას საჩხერის სავაჭრო ქსელში. მინა ძალიან ესაჭიროება მოსახლეობას. უფრო სავალალო მდგომარეობაში არიან სკოლები, სადაც ბევრი ფანჯარა ჩამტვრეულია. ამ მხრივ ჩვენი სკოლაც არ არის გამონაკლისი. განათლების სამინისტრო სკოლებს მინას არ უგზავნის, სავაჭრო ქსელში იგი არ იშოვნება.

რო

• პრესის კომენტარები • უცხოეთის ამბები • ჩვენი მეგობრების იუმორი • ქრონიკები

საერთაშორისო დეკადები, ცხოვრები, ვიმოსილვა ცხოვრება

დე გოლი საფრანგეთს მოლიპულ გზაზე მიაქანებს

სამარცხვინო გარიგება ფრანკისტებთან ◇ ყასემი სიკვდილით დასჯეს

ფაფარიან ლომს ყულფი უჭერს

ერაყის ამბები

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება: ერაყის აჯანყების ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ ხელთ იგდეს თავდაცვის სამინისტროს შენობა, სადაც იყო პრემიერ-მინისტრ ყასემის მთავარი ბინა. ჩვენი ძალები, ნათქვამია ცნობაში, თავდაცვის სამინისტროს შენობაში შეიჭრნენ 18 საათსა და 30 წუთზე. 600-ზე მეტმა ჯარისკაცმა, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს იცავდნენ, შეწყვიტა წინააღმდეგობა და იარაღი დაყარა.

კორესპონდენტი დასძენს, რომ ამ ცნობაში არაფერია ნათქვამი თუ რა ბედი ეწია ყასემს.

ბაირუთი, 8 თებერვალი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო იუწყება, დღეს ბაღდადის რადიომ გამოაცხადა, რომ ერაყის რევოლუციის ეროვნული საბჭოს მეთაურად და ახლად შექმნილი ეროვნული გვარდიის სარდლად დანიშნულია პოლკოვნიკი აბდელ ქერიმ მუსტაფა.

პარიზი, 8 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ბაღდადის რადიომ გადასცა ერაყის რევოლუციის ეროვნული საბჭოს ბრძანებანი იმის შესახებ, რომ იხურება ერაყის ყველა აეროდრომი, წყდება თვითმფრინავების ფრენა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე და იხურება ერაყის ყველა საზღვარი.

ბაღდადის რადიომ აგრეთვე გამოაცხადა, რომ ერაყის არმიის ახალი გარნიზონები და ნაწილები შეუერთდნენ აჯანყებულებს. გადატრიალების მონაწილეებს მხარი დაუჭირეს ოთხმა ჯავშანსატანკო ბლოკმა, სამხედრო სასწავლებელმა — ბაღდადში, სამხედრო-საჰაერო ბაზის გარნიზონმა — მოსულში და ერაყის არმიის სხვა ქვეგანაყოფებმა.

ეხება რა ერაყში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების ხასიათს, ფრანს პრესის საგენტოს ბეირუთელ კორესპონდენტს მიაჩნია, რომ გადატრიალების მიზანია „გაუმჯობესოს ბაღდადისა და კაიროს ურთიერთობა". მეორე ცნობაში აღნიშნულია, რომ გადატრიალების მონაწილეები „ემხრობიან პრეზიდენტ ნასერსა და არაბული ნაციონალიზმის მიმდევრებს".

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). რეიტერის საგენტო, რომელიც ბაღდადის რადიოს იმოწმებს, იუწყება, რომ „ერაყის რევოლუციის ეროვნულმა საბჭომ" ახლადდანიშნა მუსტაფიზ ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტად, ხოლო ბრიგადის გენერალი ამიდ მასან ბეკრი — რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდესი). ბაღდადის რადიომ გადასცა ცნობა, რომ დაბეგრიტეს ერაყის ყოფილი პრემიერ-მინისტრი აბდელ ქერიმ ყასემი და სამი მისი უახლოესი თანამშრომელი. მათ შორის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე პოლკოვნიკი მაჰდაუი.

რადიოს ცნობაში ნათქვამია, რომ ყასემი, რომელიც გადარჩა ბაღდადში მდებარე თავდაცვის სამინისტროს შენობის გუშინდელი დაბომბვის დროს, სადაც მისი მთავარი ბინა იყო, დღეს დილით წარსდგა სამხედრო სასამართლოს წინაშე, რომელმაც საკვდილი მიუსაჯა მას. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 18 საათსა და 30 წუთზე.

ეს ცნობა გადასცეს კომუნიკეს სახით, რომელსაც ხელს აწერს ბაღდადის ახალი სამხედრო გენერალ-გუბერნატორი.

კაირო, 9 თებერვალი. (საკდესი). ბაღდადის რადიომ გამოაცხადა, რომ შეიქმნა ერაყის ახალი მთავრობა, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ბრიგადის გენერალი ამიდ მასან ბეკრი. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ ალი სალემ საადი — პრემიერ-მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი; სალემ მაჰდი ომაში — თავდაცვის მინისტრი; ტალებ მუსეინ შაბიბი — საგარეო საქმეთა მინისტრი; სალემ კუბა — ფინანსთა მინისტრი; აბდელ აზიზ ვატარი — ნავთობის მრეწველობის მინისტრი და სხვები.

არაბთა მაერთიანებული რესპუბლიკისა და იემენის მთავრობებმა ცნეს ერაყის ახალი მთავრობა

კაირო, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო იუწყება, არაბთა მაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალურად ცნო ერაყის რესპუბლიკის ახალი მთავრობა.

კაირო, 9 თებერვალი. (საკდესი). მენის საგენტო იუწყება: იემენის არაბთა რესპუბლიკამ გამოაცხადა, რომ ცნო ერაყის ახალი მთავრობა.

„აქვს თუ არა ინგლისს შანსები"?

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). „აქვს თუ არა ინგლისს შანსები გამოიჩინოს ინიციატივა ამ მოულოდნელ მსოფლიოში"? — კითხულობს ლეიბორისტული ყოველკვირეულის „ტრიბუნის" მომომზადებელი რეიმონდ ფლეტჩერი. იგი შეშფოთებულია ინგლისის პოლიტიკის პერსპექტივებით, რომლის სრული დამოკიდებულება ვაშინგტონზე გამოირკვა ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში. ავტორი აანალიზებს უკანასკნელი კვირეების ამბებს, როცა დასავლეთის ბლოკში გამწყვავდა წინააღმდეგობანი, და აღნიშნავს „ნატოს შეთანხმებული სტრატეგიის ფეტიშიერ კრახს".

„ინგლისს რადაც უნდა დაუჯდეს, — წერს იგი, — ესაჭიროება პოლიტიკური სტრატეგია, და ამ სტრატეგიის ორი მიზანი უნდა იყოს, ჯერ ერთი, განიარაღება (ყოველ შემთხვევაში რეგიონალური), ხოლო მეორე, ყველა დაბრკოლების ლიკვიდაცია მსოფლიო ვაჭრობის გაფართოების გზაზე".

ფლეტჩერი მოიხსენიებს ინგლისისა და „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში" მისი პარტნიორების საგაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

„ვაჭრობა საუკეთესო საშუალებაა მოისპოს ანტაგონიზმი, რომელსაც ცივი ომი წარმოშობს, — განაგრძობს ფლეტჩერი. — კარგი მეზეკნეები როდი იწყებენ იდეოლოგიურ დავას კარგ კლიენტებთან".

ფლეტჩერი აღნიშნავს, რომ ინგლისის საზოგადოებრიობას „ასეთივე სალი პოზიცია" უქავია „შეიარაღებული ძალების დაშორიშორების" საკითხში. გამოკითხულ ინგლისელთა 73 პროცენტი, მისი სიტყვით, ეთანხმება იმ იდეას, რომ შეიქმნას დემილიტარიზებული ზონები ევროპის ცენტრში, და მხოლოდ 7 პროცენტმა გამოთქვა უარყოფითი აზრი.

„ტელეგრაფი" გვატყობინებს

□ „პრეზიდენტის არჩევნების" შემდეგ ნიკარაგუაში გრძელდება რეპრესიები პროგრესული ძალების წინააღმდეგ. დაიხურა ორი რადიოსადგური.

□ როგორც გაზეთი „ნიიე რაინ-ციაიტუნგი" იუწყება, დასავლეთ გერმანიაში განხორციელდა რაკეტების ახალი გამოცდა. ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე, კუხსჰაფენის მახლობლად, გაუშვეს სამი რაკეტა. გამოცდა მიმდინარეობდა რაკეტების სპეციალისტის ბერტოლდ ზელინგერის ხელმძღვანელობით.

□ ინგლისის თავდაცვის შტაბის უფროსი ადმირალი მაუნტბეტენი და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი გოდბერი კაშინგტონიდან ლონდონს დაბრუნდნენ. მაუნტბეტენი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. გოდბერმა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობა.

□ შეერთებული შტატების ოქროს მარაგი ახლა 15 მილიარდ 928 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს ყველაზე მცირე თანხაა 1939 წლის მაისის შემდეგ. ოქროს გატანამ საზღვარგარეთ გასული წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის 16 იანვრამდე 50 მილიონი დოლარი შეადგინა. (საკდესი).

ნახატი ჩეხოსლოვაკიური გაზეთ „რუდე პრავოდან".

ნ. ს. პატოლიჩევი ოსაკაში

ოსაკა, 8 თებერვალი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო კაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ „ხიტატი ძოსენის" კომპანიის გემთმაშენებლის საკერძაძიაში, რომელიც იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი გემთმაშენებელი ფირმაა. ახლა ამ კომპანიამ დაიწყო იმ შეკვეთის შესრულება, რომ ააგოს სსრ კავშირისათვის 5 ახალი მშრალი ტვირთის გემი, რომელთაგან თვითეულის დედვეიტი 12 ათასი ტონა იქნება.

გემთმაშენის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. პატოლიჩევი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ დარბაზობაზე, რომელიც მათ პატივსაცემად გამართეს ოსაკის პრეფექტურის გუბერნატორმა, ქალაქის მერმა და ოსაკის საკაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა.

დარბაზობის შემდეგ ოსაკის საკაჭრო-სამრეწველო პალატის შენობაში გაიმართა ნ. ს. პატოლიჩევის შეხვედრა პალატის წევრებთან.

დღის ბოლოს ნ. ს. პატოლიჩევი და მისი თანმხლები პირნი გაემგზავრნენ იაპონიის ერთ-ერთ უძველეს ცენტრში — ქალაქ კიოტოში.

უცერემონიოდ ეპყროგიან მოკავშირეებს

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). კონსერვატიული გაზეთი „დეილი მეილი" დღეს გაბრაზებით ბრალს სდებს ვაშინგტონს, რომ იგი უცერემონიოდ ეპყრობა თავის მოკავშირეებს.

გაზეთი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ასახელებს კანადის ახლანდელი მთავრობის კრიზისის მიზეზად და მიაჩნია, რომ ეს „სამარცხვინო მაგალითია ერთი ქვეყნის ჩარევისა მეორის საშინაო საქმეებში". „დეილი მეილის" აზრით, ასეთი დამოკიდებულება, კერძოდ, გამოვლინდა იმით, რომ „ამერიკამ ფაქტიურად ულტიმატუმი წამოუყენა ინგლისს „სკიბოლტის" რაკეტების საქმეში".

ერთი სიტყვისათვის

— 17 წლის პატიმრობა

ერთადერთი სიტყვა, რომლითაც ბარსელონელმა სტამბის მუშამ ესპანეთის კუდილიო მოიხსენია, მას 17 წლის პატიმრობად დაუჯდა.

ეს მოხდა ბარსელონის საღამოს გაზეთ „ლა პრენსაში", როცა იწყობოდა დიქტატორის გაჭიანურებული საახალწლო სიტყვა, რომელშიც ფრანკო გულუბვად იძლეოდა დაპირებებს მეტად დაბალი ხელფასის გადიდების შესახებ.

ფრანკოს მაღალფარდოვან დაპირებათა ორი მესამედი რომ ააწყო, ასოთამწყობს მოთმინების ფიალა აეესო. ტექსტის ორ ნაწილს შუა მან თავისი კომენტარი ჩაურთო. „ბურო" (ვირი) ჩაწერა, ამით გული მოიოხა და ბოლომდე ააწყო სიტყვა.

კორექტორებმა ვერ შეამჩნიეს ან არ შეამჩნიეს ჩამატებული კრამოლური სიტყვა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რამდენიმე ათასი ეგზემპლარი გაზეთი გაიყიდა, რომელიც მაბეზღარამ ხმაური ატეხა. სტამბაში მაშინვე მივიდნენ ფრანკისტული ოხრანკის აგენტები და დააპატიმრეს კომენტარის ავტორი. სასჯელად მას 17 წლის პატიმრობა მოუსაჯეს.

..ბოლაპრული „ტუ-114"

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდესი). „ყველაზე დიდი ლაინერი მსოფლიოში", „ზღაპრული „ტუ-114" — ყველაზე მძიმე სამგზავრო თვითმფრინავი ყველაზე მაღალი ბერით", — ასე ახასიათებს ინგლისის პრესა საბჭოთა გიგანტს, რომელიც ჩაფრინდა ლონდონის აეროპორტში, რათა მოსკოვში წაიყვანოს ინგლისელ ბიზნესმენთა დიდი ჯგუფი.

გაზეთების ფურცლებზე მრავალი ფოტოსურათია, რომლებიც ასახავენ თვითმფრინავს გაჩერებაზე, ჰაერში, მგზავრთა სალონს, პილოტების კაბინას.

„ტუ-114" თვითმფრინავის გვერდით ამერიკის რეაქტიული „ბოინგები", ყველაზე დიდი თვითმფრინავები, რომელთაც ინგლისის ავიახაზებზე იყენებენ, ჯუჯებად მოჩანან", — წერს „დეილი პერალდის" კორესპონდენტი.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, კვირა.

10 თებერვალი, 1963 წ.

საფრანგეთის ხელისუფალთა უხეში აქტი

პარიზი, 8 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის ხელისუფლებმა აკრძალეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის რ. ი. მალინოვსკის ინტერვიუს გადაცემა ეროვნული ტელევიზიით. ეს ინტერვიუ ეძღვნება ვოლგის ნაპირებზე ისტორიული ბრძოლის 20 წლისთავს. ინტერვიუ, რომელიც მოსკოვში მიეცა საფრანგეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის წარმომადგენელს ფ. როსიფს, უნდა გადაეცათ 8 თებერვალს საღამოს ვოლგის ბრძოლის შესახებ გადაცემის დროს.

საფრანგეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დირექციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც საბჭოთა კავშირისადმი ამ მტრული ღონისძიების განსამარტავად იმოწმებს იმას, რომ ნ. ს. ხრუშჩოვისა და რ. ი. მალინოვსკის ინტერვიუ შეიცავს „მტრულ გამონათქვამებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, მისი პოლიტიკისა და საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების მიმართ".

საფრანგეთის ხელისუფალთა აშკარა ჩარევაა, რამაც ეს გადაწყვეტილება გამოიწვია, ადასტურებს გაზეთ „პარიზეს-ენტრანსიჟანის" შენიშვნა, რომელიც ნათქვამია, რომ საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის ბევრი ხელმძღვანელი მოღვაწეს გარდა, ინტერვიუს ტექსტი „შეისწავლეს" პრემიერ-მინისტრმა პომპიდუმ და ინფორმაციის მინისტრმა პეიერეფიტმა.

ამრიგად, მეზუთე რესპუბლიკის მმართველმა წრეებმა, რომელიც, როგორც ჩანს, თავიანთ კავშირს დასავლეთგერმანელ რევანშისტებთან ყველაფერზე მაღლა აყენებენ, გადაწყვიტეს დაუმალონ საფრანგეთის საზოგადოებრიობას ნ. ს. ხრუშჩოვისა და რ. ი. მალინოვსკის გამონათქვამები, რასაც იგი დიდი ინტერესით მოელოდა.

ფრანგ ხელისუფალთა უხეში ღონისძიება გაოცებას იწვევს და მას გმობენ ყველა ისინი, ვინც იცის, თუ რა როლი შეასრულა ვოლგოგრადის ბრძოლამ ჰიტლერული ოკუპაციისაგან საფრანგეთის განთავისუფლებაში.

— საკანდალურად მიმაჩნია აკრძალვა ინტერვიუს გადაცემისა ვოლგოგრადის ბრძოლების შესახებ, რომლებიც 20 წლის წინათ მოასწავებდნენ მობრუნებას ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ომში და მისი განადგურების უტყუარი მაუწყებელი გახდა, — განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ. — ამ გამოსვლების გადაცემის აკრძალვა იმიტომ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ლაპარაკობს გერმანულ მილიტარიზმზე, ცხადყოფს, რომ ავტორები ხელშეკრულებისა „ცივი ომის" შესახებ, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ მოაწერეს ხელი ელისეს სასახლეში, საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურმა და კანცლერმა ადენაუერმა, არ ურიგდებიან ოდნავ კრიტიკასაც კი ბონის გერმანიის რევანშისტთა მიმართ.

... საკდესის პარიზის განყოფილებაში განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი. რეკავენ უბრალო ფრანგები, რათა გამოთქვან თავიანთი აღშფოთება ხელისუფალთა სკანდალური გადაწყვეტილების გამო. „მე მტკიცე პროტესტს ვაცხადებ ინფორმაციის თავისუფლების ამ ახალი ხელყოფის წინააღმდეგ საფრანგეთში", — ამბობს პარიზის ტიეს „გარეუბანში" მცხოვრები ქ-ნი ეუსელში.

კიდევ ერთი ზარი გაისმა. ტელეფონთან არიან საფრანგეთის ენერგეტიკული სამმართველოს „ელექტრისიტე დე ფრანსის" მოსამსახურეები ქ-ნი კლერმანტინი და ბ-ნი ბიუტარი, რომლებიც აღშფოთებული არიან იმით, რომ გაიუქმეს დაპირებული გადაცემა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ.

საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება, განაცხადა შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბენუა ფრაშონმა, ბევრ ფრანგს დაანახებს ხელშეკრულების ნამდვილ არსს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დადო საფრანგეთმა გერმანელ რევანშისტებთან, აგრეთვე „ცხადყოფს საფრთხეს, რომელსაც იგი წარმოადგენს.

საფრანგეთის მთავრობა ამჯობინებს საქმე ჰქონდეს „ცისფერი დივიზიის" მეთაურთან, ვიდრე ვოლგოგრადის გმირებთან... ეს გადაწყვეტილება ძალიან გვტკენს გულს, — თქვა პარიზის განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრე ტოლემ.

პარიზის ყველა დღევანდელი გაზეთი წერს სატელევიზიო გადაცემის რაშლის შესახებ. ამ გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივები, წერს „ლუმანიტე", უნდა ეძებოთ საფრანგეთის მმართველი წრეების შეთანხმებაში დასავლეთგერმანელ რევანშისტებთან, რომელსაც შეუწყნარებლად მიაჩნიათ, რომ დღესასწულობდნენ მათი ყველაზე გამანადგურებელი დამარცხების წლისთავს. ამ ღონისძიებას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ყველა პატრიოტის გულისწყრომა. „ლუმანიტე" და „ლიბერასიონი" ბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუს სრულ ტექსტს და ციტატებს რ. ი. მალინოვსკის გამონათქვამებიდან. „ლიბერასიონი" აღნიშნავს, რომ იმათ შორის, ვინც ოცი წლის წინათ გერმანიის მილიტარიზმი დაამარცხა, და იმათ შორის ვინც ახლა მის აღორძინებაზე ოცნებობს, დე გოლმა უკანასკნელთა სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.

ბურჟუაზიული გაზეთებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივად მთავრობის კურსს უჭერენ მხარს, მოწონებით არ შეხვედრიან ხელისუფალთა ამ ნაბიჯს.

უსიტყვოდ...

ნახატი ა. მატისა.

— რატომ დაიგვიანე?
— პატარა სხდომა გვქონდა...

ნახატი ვ. კრივეცისა.

— გვაპატიეთ, გეთაყვა, რომელი ჩვენგანი ცხოვრობს აქ?

ნახატი ვ. კრივეცისა.

..ბოლაპრული „ტუ-114"

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდესი). „ყველაზე დიდი ლაინერი მსოფლიოში", „ზღაპრული „ტუ-114" — ყველაზე მძიმე სამგზავრო თვითმფრინავი ყველაზე მაღალი ბერით", — ასე ახასიათებს ინგლისის პრესა საბჭოთა გიგანტს, რომელიც ჩაფრინდა ლონდონის აეროპორტში, რათა მოსკოვში წაიყვანოს ინგლისელ ბიზნესმენთა დიდი ჯგუფი.

„ტუ-114" თვითმფრინავის გვერდით ამერიკის რეაქტიული „ბოინგები", ყველაზე დიდი თვითმფრინავები, რომელთაც ინგლისის ავიახაზებზე იყენებენ, ჯუჯებად მოჩანან", — წერს „დეილი პერალდის" კორესპონდენტი.

სიყვარული და... ლითონის ჯართი

„თავისუფალი სამყაროს" გრიმასები

გადაფურცლეთ ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესის ტელეფონის წიგნი, და წააწყდებით ასეთ განცხადებას: „ფსიქოანალიზის სპეციალისტი ჰენრი სილვერი, ოჯახური ცხოვრების პრობლემები. ყველაზე რთული საკითხები წარმატებით გადაიჭრება პირველსავე კონსულტაციაზე". ტელეფონის ზარზე რომ უპასუხებს, ჰ. სილვერი ადასტურებს, რომ მისთვის საკმარისია ერთხელ ესაუბროს დაბნეულ მსურველს, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოაშოროს ყოველი ოჯახური უსიამოვნება. საუბრის დასასრულს იგი დასძენს: „ეს ასი დოლარი დაგიჯდებათ".

ჰენრი სილვერი სიყვარულის, ოჯახისა და ცოლქმრობის საკითხთა ერთადერთი „სპეციალისტი" რიდია ლოს-ანჯელესში.

ცოლქმრულ ცხოვრებაში ყოველგვარი შერეულებისაგან განკურნების ორიგინალური მეთოდი გამოუგონებია ვინმე ვიტალ ნეგრის, რომელიც სპეციალურად „ეძრად და ცოლქმრობის პრობლემებზე" მუშაობს. კლიენტი, ნეგრის მდიდარ სახლში შესვლისას 15 დოლარს რომ გადაიხდის, შეჰყავთ მისადგილ ოთახში, რომელის კედლებიც აჭრელებულია ბუნებაში არარსებული დაწესებულებების — ფსიქონალიზის დასავლეთის ინსტიტუტისა და ერთა თანამეგობრობის ინსტიტუტისა და ერთა თანამეგობრობის ფსიქიატრიული ინსტიტუტის სადოქტორო დიპლომებით.

ნეგრი კლიენტს სკამს სავარძელში, რომელიც ელექტროსკამს ჰგავს. კლიენტს თავზე ორი მხრიდან მიამაგრებს ლითონის ფირფიტებს. შემდეგ ჩართავს დენს, და ფირფიტები სწრაფად გახურებას იწყებს. „დოქტორის" შეკითხვაზე, თუ რას გრძნობს კლიენტი, ეს უკანასკნელი ხმის კანკალით უპასუხებს, რომ გრძნობს სიმხურვალეს ფირფიტებისაგან, ამასთან მარჯვენა მხრიდან უფრო ძლიერ, ვიდრე მარცხნიდან. შემდეგ დენი გამოირთვება, და „დოქტორი" ღრმაზროვნად დაასკვნის, რომ პაციენტს „მოშლილი აქვს ნერვული სისტემის მარცხენა მხარე", ხოლო სამკურნალოდ საჭიროა მიიღოს ვიტამინი ბ-პრიმ. გამოაღებს მაგიდის უჯრას და იქიდან ამოიღებს აბების მოზრდილ კოლოფს. კლიენტი კი ჯიბიდან საფულეს ამოიღებს...

ჩვენ გაგაცანით ორი ლოსანჯელესელი თაღლითი, რომლებიც თავს უწოდებენ ექიმ-კონსულტანტებს „ცოლქმრობის საკითხებში", ასეთი „სპეციალისტები" მთელი ამერიკა აივსო. სამედიცინო ეურნალ „ამერიკან საიკოლოჯისტს" გამოანგარიშებით, ათი წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო 25 ათასამდე „კონსულტანტი ცოლქმრობის საკითხებში". მათი საერთო შემოსავალი წელიწადში 875 მილიონ დოლარს შეადგენდა! მას შემდეგ ორივე ეს ციფრი ბევრად გაიზარდა, ვინაიდან „კონსულტანტები ცოლქმრობის საკითხებში" კვლავ სრული თავისუფლებით სარგებლობენ და ხელისუფალნი მათ არავითარ კონტროლს არ უწევენ.

როგორც აღნიშნავს გაზეთი „ჯორნელი", რომელიც კალიფორნიის ქალაქ სანდიეგოში გამოდის, იმახათვის, რომ გახსნა კანტორა ოჯახისა და ცოლქმრობის საკითხებზე, საკმარისია მუნიციპალიტეტში შეიტანო სულ მცირე გადასაადები — 84 ცენტი, ამიტომ „კონსულტანტები" ბევრ ფიქრობენ, ეგზოტიკურ ფირმებს ეხსნიან ოჯახისა და ცოლქმრობის „ინსტიტუტებს", „ინსტიტუტებს" ეძებენ ბინებს, ბინებს ეძებენ ბანკებს, ბანკებს ეძებენ ბინებს, ბინებს ეძებენ ... ეს ციკლი ბოლოს ეკარგებოდა, ვინაიდან ბანკებს ეძებენ ... ეს ციკლი ბოლოს ეკარგებოდა, ვინაიდან

„ოკოპნაია პრავდის“ კვალდაკვალ

...„ოკოპნაია პრავდა“ № 11 ხელნაწერი გაზეთის უკანასკნელი ნომერი, კომეტი წლის რედაქტორის ვალერიკ ვოლკოვის მიერ გამოშვებული.

„ჩვენი ათეული ძმლავრი მუშტი, რომელიც მტერს დივიზია ჰგონია...

...მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს დაგვამარცხოს ჩვენ, საბჭოთა სახელმწიფო, იმიტომ რომ ჩვენ თვითონ ვართ ბატონ-პატრონი, ჩვენ გვხელმძღვანელობს კომუნისტთა პარტია.

აბა ნახეთ, ვინა ვართ...

აქ, 52-ე სკოლაში ვართ:

1. მეთაური... ყიდილოვი — რუსი;
2. კაპიტანი, კავალერისტი — ქართველი გობალაძე;
3. ტანკისტი, რიგითი ვასილ პაუშტიტე — ლატვიელი;
4. ექიმი... კაპიტანი მამედოვი — უზბეკი;
5. მფრინავი, უმცროსი ლეიტენანტი ილიტა დაუროვა — ოსი;
6. მეზღვაური იბრაჰიმ იბრაჰიმოვი — ყაზანელი თათარი;
7. არტილერისტი პეტრუნენკო კიევიდან — უკრაინელი;
8. სერჟანტი, ქვეითი ბოგომოლოვი ლენინგრადიდან — რუსი;
9. მზვერავი, მყვინთავი არკადი ყურალიოვი — ვლადივოსტოკიდან;
10. მე, მეჩიქმის შვილი, მე-4 კლასის მოსწავლე, ვალერი ვოლკოვი — რუსი.

ძვირფასო ათეულო! თქვენგან ვინც ცოცხალი დარჩეს, უამბეთ ყველას, ვინც ამ სკოლაში ისწავლის: სადაც უნდა იყოთ, ჩამოდით და უამბეთ ყველაფერი, რაც აქ, სევასტოპოლში ხდებოდა. მე მინდა ფრინველი გავხდე და შემოვფრინო მთელ სევასტოპოლს, ყოველ სახლს, ყოველ სკოლას, ყოველ ქუჩას... ჩვენ ვერასოდეს ვერ გვძლევენ არამზადები ჰიტლერი და სხვები... ჩვენ მილიონები ვართ, შეხედეთ! შორეული აღმოსავლეთიდან რიგამდე, კავკასიიდან კიევამდე, სევასტოპოლიდან ტაშკენტამდე... ჩვენ, როგორც ფოლადი, უძლეველნი ვართ!..

ვალერი „პოეტი“ (ვოლკ).
1942 წელი.

ეს საბრძოლო ფურცელი რაღაც სასწაულით შერჩა ცოცხლად გადარჩენილ ივანე პეტრუნენკოს — მებრძოლი ათეულის ერთ-ერთ წევრს. ტაშკენტიდან მან ეს ფურცელი გაუგზავნა ილიტა დაუროვას ქალაქ ორჯონიკიძეში. „ეს ფურცელი ხელებს მწვავს, — სწერდა პეტრუნენკო. — წადი სევასტოპოლში. შენ უფრო ახლო ხარ, მოძებნე ეს სკოლა, უამბე ბავშვებს ჩვენს სახელოვან მეზვერავ ვალერიკ ვოლკოვზე. მისი გმირობა ყველა პიონერმა უნდა იცოდეს“...

— ჩვენი ათეული თავდაცვაზე იდგა ხეივის ყველაზე ვიწრო ადგილას, გზატკეცილზე, — მოგვითხრობს ილიტა კირილის ასული დაუროვა და იგონებს გაბედული, უშიშარი ბიჭუნას უკანასკნელ გმირობას. — უეცრად ფაშისტთა სამი ტანკი გამოჩნდა.. ვალერიკი წინ გადახტა და უნდოდა გრანატების კონა ეტყორცნა. მაგრამ მტრის ტყვია მარჯვენა მხარში მოხვდა. მარცხენა ხელით აიტაცა გრანატების კონა, ერთხელ კიდევ მიბრუნდა ტანკისაკენ და გრანატები ხელუხლის ქვეშ შეაგდო. იგრძალა აფეთქებამ. ტანკი ვიწრო გზატკეცილზე დაბორიალდა და სხვებს გამოსვლის საშუალება მოესპო... ვალერიკი ჩემს ხელზე მოკვდა. პიონერული ჰალსტუხი მოეხსენი. როცა მე დამჭრეს, გობალაძემ მითხრა: „მომეცი ჰალსტუხი, ეს ჩვენი დროშა იქნება“.

ვალერიკი სკოლის გვერდით დავმარხეთ. საფლავს ქვები შემოვუწყეთ და დავაწერეთ: „აქ დამარხულია გმირი პიონერი ვალერი ვოლკოვი“.

ნორჩი გმირი დაიღუპა, მაგრამ მისი სისხლით გაყეფნილი პიონერული ჰალსტუხი რამდენიმე დღეს ფრიალებდა დანგრეული სკოლის თავზე,

მებრძოლი ამხანაგების თხოვნის შესასრულებლად ი. კ. დაუროვა სევასტოპოლში ჩავიდა. მაგრამ სკოლა № 52, რომელიც მოხსენიებულია „ოკობნაია პრავდაში“, იქ არ აღმოჩნდა. მაშინ მას მიეშველნენ მოსწავლეები, რომლებსაც ეს ამბავი „პიონერსკაია პრავდაში“ წაეკითხათ. ძებნაში ჩაებნენ მოსკოვის 613-ე სკოლისა და სევასტოპოლის № 3 სკოლის მოსწავლეები, ბავშვები ოსეთიდან, თათრეთიდან, უკრაინიდან, საქართველოდან.

და აი მოსკოვში, პიონერული ექსპედიციის შტაბში, შემოვიდა პირველი მოხსენება. აღმოჩნდა, რომ სევასტოპოლის ძველმა მკვიდრებმა, რომლებსაც ნორჩი მებრძოლები ესაუბრნენ, ერთხმად გაიხსენეს, ომამდე ქალაქში № 52 სკოლა არ ყოფილაო.

მაგრამ იქნებ ეს ხდებოდა სევასტოპოლის გარეუბან ინკერმანში, იქ იყო სკოლა № 32 და ვალერიკს ადგილად შეიძლებოდა სამიანი ხუთიანში არეოდა. მაშინ მებრძოლთა რაზმი ინკერმანში წავიდა. ბავშვებმა მოძებნეს ადამიანები, რომლებიც აქ ომის დროს ცხოვრობდნენ. აღმოჩნდა, რომ ვერც ისინი იცნობდნენ ვალერიკ ვოლკოვს.

ინკერმანიდან ბავშვები წავიდნენ გონჩარნოეში. ილიტა კირილეს ასული ხომ იქ შეხვდა ვალერიკს. მაგრამ ამ სოფლის მცხოვრებთაგან არავის არ ახსოვს ვოლკოვი. თვით სახელი გონჩარნოეც ამ სოფელს მხოლოდ 1948 წელს დაერქვა. რა ქნან? სად ეძებონ?.. „იქნებ გონჩარნოე კი არ არის, არამედ ჩორგუნია — სახელები ერთმანეთს ჰგავს“, — იფიქრეს მძებნელებმა.

...მეორე დილით მძებნელთა რაზმი ჩორგუნში ჩავიდა. და კვლავ ყოველ სახლში ბავშვებს უპასუხებდნენ: „არა, ვოლკოვები აქ არ ყოფილან“. მხოლოდ სალამოხანს, განაპირა სახლში, ა. ტ. ტიტორენკოსთან რომ შევიდნენ, ბავშვებმა მოულოდნელად გიგიგონეს: „იყვნენ, იყვნენ ვოლკოვები, როგორ არა. ბალნისარაიდან ჩამოვიდნენ, ევაკუირებული იყვნენ. თვითონ მეჩექმე იყო. მასთან ბიჭუნაც იყო“.

ძებნის შტაბი დაუკავშირდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივს.

— გამოარკვიეთ ვალერიკ ვოლკოვის საველე ფოსტის ნომერი, — უთხრეს იქ, — და დაგეხმარებთ, რომ შეიტყოთ, რა ნაწილში იბრძოდა ნორჩი გმირი.

ამას ხელი მოჰკიდეს ჩრდილოეთ ოსეთის პიონერებმა. ოლია თედეევამ და მალა ხარადუროვამ ილიტა კირილეს ასულ დაუროვასთან ნახეს მისი ფრონტული წერილები დედისადმი. ერთ-ერთ მათგანში მოხსენებული იყვნენ თეიმურაზ გურიევი და ლეიტენანტი აზიევი სოფელ ზილგდან.

და კიდევ ერთი რაზმი გაემართა სალაშქროდ. ოსეთის სოფელ ზილგაში ბავშვებმა მოძებნეს ე. მ. აზიევი. ეს ის კაცი იყო, რომლის გვარიც მოხსენიებული იყო დაუროვას წერილში დედისადმი. ენერგრეკ მუხრანის-ძე მაშინ დამფარავ ჯგუფში იყო და კარგად ახსოვს ვალერიკი. „დიახ, ვოლჩკმა ტანკი აიფეთქა, შემდეგ კიდევ ფაშისტთა ორი მანქანა მოსპო, — ყვებოდა იგი. — მაგრამ ვოლჩოკი დაიღუპა. ჭრილობის შეხვევაც ვერ მოვასწარითო... მხოლოდ ეს მოხდა ორა 52-ე, არამედ მე-12 სკოლასთან. ეს უშაკოფის ხევშია. იმ დღეს ფაშისტებმა ვერ მოახერხეს ამ ხევით გამოჭრილიყვნენ ზღვისაკენ, სადაც დაჭრილთა ევაკუაცია მიმდინარეობდა“.

სანამ მოსკოვში გასაგზავნ მოხსენებას წერდნენ, ნორჩ მებრძოლთა რაზმის მეთაური ამირან კოკოევი ადგილობრივი რადიოთი გამოვიდა. მცხოვრებთ უამბო, ძებნის ისტორია და მიმართა მათ კითხვით: ხომ არ იცნობენ თეიმურაზ გურიევს. მალე გამოუხმაურა პაპა ვანო — თეიმურაზის მამა, რომელიც თავისი შვილის რამდენიმე ფრონტული წერილს ინახავს. ერთ-ერთ კონცერტზე ბავშვებმა ვალერიკის თანაპოლკელთა საველე ფოსტის ნომერი წაიკითხეს.

ამას წინათ საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში მოსკოველი ბავშვები— ამ ძებნის მონაწილენი — შეხვდნენ გენერალ-ლეიტენანტ ევგენი ივანეს-ძე ყიდილოვს, შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის მეშვიდე ბრიგადის ყოფილ მეთაურს.

ასე გაიხსნა „ოკოპნაია პრავდის“ საიდუმლოება. ამ გაზეთის რედაქტორის, სევასტოპოლის ნორჩი დამცველის პიონერ ვალერი ვოლკოვის სახელი ამას წინათ ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საპატიო წიგნში ჩაწერეს.

ვ. ლარინა.

ვალერი ვოლკოვი

* * *

პიონერთა ნაკრები საექსპედიციო რაზმის ხელმძღვანელი.
(„პრავდა“)



Окопная правда №11

ვინ მოიგებს „ვოლგას?“

ამ დღეებში მოგებათა ტირაჟი გაიმართება

1963 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისში პლანეტოვის ბინათმშენებლის კლუბის შენობაში შედგება ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

მთელი მოსამზადებელი სამუშაოები დასრულდა. მოგებათა ტირაჟის ჩასატარებლად შექმნილია კომისია 25 კაცის შემადგენლობით. კომისიაში შედიან მრეწველობის მოწინავეები, პარტიული, პროფესიული, ეკონომიკური და [illegible] ორგანიზაციების წარმომადგენლები. ერთ ერთმა სასაუბრო ბაზმა ამომყო რვა ბავშვი „ბედნიერი“ ნომრების ამოსაღებად. ტირაჟზე მოწვეულნი მზად არიან. სავაჭრო ორგანიზაციებმა გამოაყვეს უფლებამოსილნი, რაც საშუალებას მოგებათა მიღებისას. მსუბუქი ავტომანქანების მაღაზიამ უკვე მიიღო ავტომანქანები „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, აგრეთვე „ზაპოროჟეცი“, რომელიც პირველად გათამაშდება 1963 წელს. სულ ამ ტირაჟში გათამაშდება 225.000 მანეთის 120.000 ფულადი და ნივთმოგება.

საქართველოს სსრ ლატარიის გათამაშება დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. პირველი გამოშვების ლატარიის ბილეთები მთლიანად გაიყიდა. ახლა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ყველას შეუძლია შეიძინოს მეორე გამოშვების ბილეთები.

დარბაზში, სადაც მოგებათა ტირაჟი გაიმართება, შესვლა თავისუფალია.

ა. შტეინბერგი.

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲰᲘᲡᲢᲝᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე ბიოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ჰისტოქიმიის ეროვნული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები, მათ შორის პროფესორი ვ. პორტუგალოვი (თავმჯდომარე), სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. მეისელი, პროფესორები ი. ზბარსკი (მოსკოვი), ლ. შარაშიძე (თბილისი), ლ. ჟინკინი, ა. პოლენოვი (ლენინგრადი), ვ. კონარევი (უფა) და სხვ. — სულ 15 მეცნიერი.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

მეშახტეები ახალ ბინებში

ᲥᲣᲘᲒᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). არასოდეს არ უნახავს მეშახტეთა ქალაქს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ასეთი ჩქარი ტემპი და გაქანება. ამ დღეებში ხარაჩოები ჩამოხსნეს კინოთეატრის შენობას. ახლა მიმდინარეობს ქეთილმოწყობის უკანასკნელი სამუშაოები.

ორჯონიკიძის სახელობის შახტის პლატოზე დამთავრდა ორი ოცდათორმეტბინიანი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. იქ მეშახტეთა 50 ოჯახი შესახლდა.

ფართო და ნათელი ბინები მიიღეს გამყვანებმა რ. ცნობილაძემ, გ. მუმლაძემ და ვ. კურტანიძემ, მონტიორმა დ. კობახიძემ, მებეტონეთა ბრიგადის ბრიგადირმა ლ. ბარბაქაძემ, პენსიონერმა ი. პალჩიკოვმა და სხვებმა.

ახალი წლის პირველ თვეში საკუთარ სახლებში გადავიდა ინდივიდუალურ ბინათმშენებელთა ოცამდე ოჯახი.

მოკლედ

□ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ ცხაკაიას ექიმთა სახლში გაიმართა სტომატოლოგთა სარაიონთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცხაკაიას, ზუგდიდისა და გეგეჭკორის რაიონების სტომატოლოგებმა.

Გ. ᲒᲕᲐᲨᲐᲕᲐ.

□ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). შვიდწლედის პირმშოა ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა. ახალგაზრდა საწარმოს კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღეებიდან-ვე კარგი სტარტი აიღო და წარმატებით დამთავრა შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი თვე. ქარხანამ იანვარში 2.800 სარეცხი მანქანა და 400-ზე მეტი ცენტრიფუგა გამოუშვა. სარეცხი მანქანები უკვე გაეგზავნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სავაჭრო ორგანიზაციებს.

□ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜ ხელის რაიონის სოფელ დიდაჭარის მთაში კოლმეურნეობამ მეცხოველეობის ფერმის მუშაკებისათვის ააგო ექვსოთახიანი საცხოვრებელი ბინა. აქვეა წითელი კუთხე, სადაც ფერმის მუშაკებს თავისუფალ დროს შეეძლიათ ითამაშონ ჭადრაკი, შაში, დომინო, წაიკითხონ ახალი ჟურნალ-გაზეთები, მოუსმინონ რადიოს.

Მ. ᲒᲝᲛᲐᲫᲔ.

იაპონიის საჭიდაო ხალიჩებზე

იᲐᲠᲝᲜᲘᲐ დიდ სპორტულ ასპარეზობათა ქვეყანა გახდა. რომ არაფერი ვთქვათ ოლიმპიურ შეჯიბრებაზე, რომელიც მომავალ სეზონს ჰიეკუოვრებენ, წელს აქ მრავალი საერთაშორისო შეხვედრა და ჩემპიონატი მოეწყობა.

ერთ-ერთ ასეთ პაექრობას საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მოჭიდავეთა მომავალი მატჩები წარმოადგენს, რომლებიც იაპონიისა და იაპონიის სხვადასხვა ქალაქში შედგება.

საბჭოთა მოჭიდავეები წარმატებით ემზადებიან ამ პასუხსაგები შეჯიბრებისათვის. მათ მოაწყეს შეკრება, საკონტროლო შეხვედრები, გუნდი მთლიანად დაკომპლექტებულია. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იაპონიაში 4 შეხვედრას მოაწყობენ. ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ძიუ-დოისტთა საჩვენებელ გამოსვლებში.

ტალინის ᲗᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲗᲐᲚᲘᲜᲘᲡ კორტებზე ცხარე ბრძოლები არ ცხრება, აქ მიმდინარეობს ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო ტურნირი უძლიერესთა მონაწილეობით. გუნდურ ასპარეზობაში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ესტონეთის, მოსკოვის, საქართველოს, უკრაინის, რსფსრ და ლენინგრადის გუნდები.

წარმატებით ჩაატარეს შეხვედრები საქართველოსა და ესტონეთის გუნდებმა, რომლებიც ფინალში გავიდნენ. შეუპოვარი იყო ლეიუსსა და მეტრეველის ორთაბრძოლა, რომელიც დამთავრდა ლეიუსის გამარჯვებით 9:7, 6:3. ამ შეხვედრამ, აგრეთვე შერეულ წყვილთა მატჩმა (გაიმარჯვეს ესტონელებმა) გადაწყვიტეს მატჩის ბედი — 5:4. ესტონელებმა გუნდური პირველობა მოიპოვეს. საქართველოს ჩოგბურთელთა კოლექტივმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, მოსკოველ გუნდმა — მესამე.

დღეს ჩოგბურთელები ჩაებმებიან პირად ასპარეზობაში.

„აგიტატორის გლოკნოტი“ № 3

გამოვიდა ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის“ მორიგი მესამე ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია: ი. გოგორიშვილი — უხვ მოსავალს — მტკიცე საფუძველი; დიდი პოლიტიკური კამპანია; საბჭოთა საქართველოს 42 წლისთავი; გ. წითლიძე — მშვიდობის ფხიზელი გუშაგი; ქ. ლაცაბიძე — მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ქმედითი ფორმებისათვის; ა. ზარნაძე — წარმოების განვითარება — აი აგიტატორთა მთავარი საზრუნავი და სხვ.

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲜᲘ

ᲤᲘᲜᲘᲨᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲨᲘ ჩქეფს სპორტული ცხოვრება, ჩემპიონატზე ჩემპიონატი მოსდევს, სპარტაკიადას სპარტაკიადა. ახლა ფინეთში უახლოვდება რესპუბლიკური ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. პროგრამაში იყო სწრაფდაშვება და სათხილამურო ესტაფეტები ქალთა და ვაჟთათვის. ქალთა შორის სწრაფდაშვებაში ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ლიანა გოგოლაძემ. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს, შ. ცხობილაძემ და ვ. მასიუკმა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ო. ხვედელიძე; მეორე და მესამე ადგილები თანმიმდევრულად დაიკავეს ა. დადვანმა და ვ. ალახვერდიევმა.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა სათხილამურო ესტაფეტებში გაიმარჯვეს თბილისელებმა.

უკანასკნელი დღის წინ საერთო მაჩვენებლებით წინ არის თბილისის პირველი გუნდი.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

„ᲙᲠᲐᲮᲘ ᲗᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡᲐ“ „ᲗᲚᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲕᲘᲚᲔᲑᲘ“

სვერდლოვსკში დაიწყო რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის გამსვლელი სესია. თავმჯდომარეობს რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. ნ. კარასევი. საბრალდებულო სკამზეა მოურჯულებელ დამნაშავეთა, თაღლითთა, სპეკულანტთა, მევალუტეთა დიდი ჯგუფი.

ᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲒᲘᲛᲐᲛᲑᲝᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ

• • •

ურალის განთქმული ფერადი ქვების სახელი დიდი ხანია გასცდა ჭალარა ურალის ფარგლებს. ურალელ ქვის მჭრელთა და ა. ბაკოვის ნაქები ოქრომჭედლობის ოსტატთა კანონიერი მემკვიდრეა ახლა სვერდლოვსკის საიუველირო-სამწახნაგებლო ფაბრიკისა და ქარხანა „რუსული ფერადი ქვების“ კოლექტივები.

მაგრამ ამ საწარმოებს რამდენიმე ხნის წინათ კონკურენტი გამოუჩნდა. მან დაიწყო გამოშვება იგივე პროდუქციისა — ოქროს სამაჯურების, ბეჭდების, მედალიონების, ძვირფასქვებიანი საყურეებისა. მართალია, კონკურენტი — საწარმოს შენობაზე აბრა არ ყოფილა, იგი არ აღირიცხებოდა სამისამართო ბიუროსა და ქალაქის სატელეფონო ცნობარში. საქმე ის როდია, რომ საწარმოს ორგანიზატორები — ძველი ბოშა საიდ ოღლი და მისი ვაჟები ნიკოლოზი და პლატონი — არ ენდობოდნენ რეკლამას. უბრალოდ, მაგრამ საცსებით გასაგები მიზეზების გამო, მათ უნდოდათ შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ.

მაგრამ საიდან იღებდა იატაკქვეშა საწარმო ნედლეულსა და ოსტატებს? ერთ-ერთი დიდი მიმწოდებელი იყო ვინმე ს. ი. ბარანენკოვი. ეს ყალთაბანდი მრავალი წლის პატიმრობის მოხდის შემდეგ მაგადანის საბადოების მახლობლად დასახლდა და აქ უპატიოსნო ადამიანთა დახმარებით იძენდა ძვირფას მასალას. შემდეგ კი გზავნიდა მას სვერდლოვსკსა და სხვა ქალაქებში. ორ წელიწადში ამ მოურჯულებელმა დამნაშავემ საბადო „ბურხალისა“ და სხვა ოქროსმომპოვებელ საწარმოთა რამდენიმე უსინდისო და უპატიოსნო მუშაკის ხელის შეწყობით სახელმწიფოს წაგლიჯა 29 კილოგრამი ოქრო.

მუშებიც გაუჩნდნენ ახალ მოვლენილ „ფირმას“. ესენი იყვნენ სვერდლოვსკის საიუველიორო-სამწახნაგებლო ფაბრიკის ოსტატები ნ. ფ. ლომაევი და გ. ა. ზაროვნიატნიი.

ოქრომჭედლობა შემოსავლის მხოლოდ ნაწილს აძლევდა ფირმას „ოღლი და შვილები“. ძირითად კაპიტალს მოხერხებულ საქმოსნები ოქროს სპეკულაციის გზით იღებდნენ. იმავე ბნელი არხებით მოდიოდა ოქრო აქ არა მარტო ციმბირის, არამედ ურალის საბადოებიდანაც: მიასკისა და სალდინსკის საბადოებიდან ოქროს ქვიშამ და თვითნაბად ოქროს აწვდიდნენ ამ საბადოთა ყოფილი მუშაკები ი. შარკოვი, ვ. ვეხიტოვი და სხვები. საბადო „ლენსკიში“ მოკალათებული იყო ხროვა ქურდ ი. ჩერეპანოვსკის მეთაურობით. საიდ ოღლის სამალავებში ოქრო თავს იყრიდა. შუამავლების — სვერდლოვსკის საიუველიორო-სამწახნაგებლო ფაბრიკის ყოფილი მუშაკების ბ. ლერმანის, გ. ვიუნოვის, ნ. ეკატერინინსკის მეშვეობით.

ოღლისა და მის შვილებს ოქრო და მისი ნაწარმი გაპქონდათ საქართველოსა სომხეთში, შუა აზიაში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში.

მაგრამ აი, ოქროს „ფირმამ“ კრახი განიცადა. მისი თავკაცი მაშინ დააპატიმრეს, როცა ძვირფასი საქონლის მორიგი პარტია უნდა წაეღო სალდინსკის საბადოდან. ურალში და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებზე დაპატიმრებულია 68 ოქროს დამტაცებელი, გადამყიდველი, სპეკულანტი-მევალუტე.

არავინ არ ეჭვობს, რომ საშიში დანაშაულენი დაისჯებიან საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით. ამაღელვებელია სხვა რამ. ესოდენ დიდი დატაცება ხომ იმის გამო გახდა შესაძლებელი, რომ შეუწყნარებელ დოყლაპიობასა და უპასუხისმგებლობას იჩენდნენ მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელებში?

საბრალმდებელო დასკვნის ძენწი სიტყვები მოწმობენ, რომ სასამართლომ უნდა გამოუტანოს მკაცრი სასჯელი არა მარტო სახალხო ქონების დამტაცებელ სპეციალისტებს, არამედ აგრეთვე დოყლაპიობას, უდარდელობასა და უკონტროლობას.

Ვ. ᲔᲠᲘᲝᲛᲘᲜᲙᲝ.
(საკ. ᲙᲝᲠ.).

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘ, 8 თებერვალი.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

პოეტურობა და ოსტატობა

ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ შრომასთან ერთად დროსაც მოაქვს. მაგრამ დიდებულია, როცა ოსტატობა ჭაბუკობას ეიწყმის. ამგვარი შემსრულებელი განსაკუთრებით ხიბლავს მსმენელს. ასეთია **მარიამ გრინბერგი** — პოეტური ნიჭისა და დიდი გაქანების პიანისტი. ჩვენთან, თბილისში იგი არაერთხელ ჩამოსულა.

თუ იმის ხიდვეთ ვიმსჯელებთ, რა აღფრთოვანებით მიიღო იგი ამჯერად მსმენელმა, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიანისტის თაყვანისმცემელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

მარიამ გრინბერგის პოეტური ხელოვნება მისაწვდომია ყველასათვის — მუსიკოსებისთვისაც და მოყვარულთათვისაც.

გრინბერგის სამშემსრულებლო ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველია ბეგრა, რბილი და ამავე დროს ძლიერი, უაღრესად მღერადი, თბილი, გამომსახველი. ასეთ პიანისტებზე იტყვიან ხოლმე, ასული ხომ იქ შეხვდა ვალერიკს. მაგრამ ამ სოფლის მცხოვრებთაგან არავის არ ახსოვს ვოლკოვი. თვით სახელი გონჩარნოეც ამ სოფელს მხოლოდ 1948 წელს დაერქვა. რა ქნან? სად ეძებონ?.. „იქნებ გონჩარნოე კი არ არის, არამედ ჩორგუნია — სახელები ერთმანეთს ჰგავს“, — იფიქრეს მძებნელებმა.

...მეორე დილით მძებნელთა რაზმი ჩორგუნში ჩავიდა. და კვლავ ყოველ სახლში ბავშვებს უპასუხებდნენ: „არა, ვოლკოვები აქ არ ყოფილან“. მხოლოდ სალამოხანს, განაპირა სახლში, ა. ტ. ტიტორენკოსთან რომ შევიდნენ, ბავშვებმა მოულოდნელად გიგიგონეს: „იყვნენ, იყვნენ ვოლკოვები, როგორ არა. ბალნისარაიდან ჩამოვიდნენ, ევაკუირებული იყვნენ. თვითონ მეჩექმე იყო. მასთან ბიჭუნაც იყო“.

ძებნის შტაბი დაუკავშირდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივს.

— გამოარკვიეთ ვალერიკ ვოლკოვის საველე ფოსტის ნომერი, — უთხრეს იქ, — და დაგეხმარებთ, რომ შეიტყოთ, რა ნაწილში იბრძოდა ნორჩი გმირი.

ამას ხელი მოჰკიდეს ჩრდილოეთ ოსეთის პიონერებმა. ოლია თედეევამ და მალა ხარადუროვამ ილიტა კირილეს ასულ დაუროვასთან ნახეს მისი ფრონტული წერილები დედისადმი. ერთ-ერთ მათგანში მოხსენებული იყვნენ თეიმურაზ გურიევი და ლეიტენანტი აზიევი სოფელ ზილგდან.

და კიდევ ერთი რაზმი გაემართა სალაშქროდ. ოსეთის სოფელ ზილგაში ბავშვებმა მოძებნეს ე. მ. აზიევი. ეს ის კაცი იყო, რომლის გვარიც მოხსენიებული იყო დაუროვას წერილში დედისადმი. ენერგრეკ მუხრანის-ძე მაშინ დამფარავ ჯგუფში იყო და კარგად ახსოვს ვალერიკი. „დიახ, ვოლჩკმა ტანკი აიფეთქა, შემდეგ კიდევ ფაშისტთა ორი მანქანა მოსპო, — ყვებოდა იგი. — მაგრამ ვოლჩოკი დაიღუპა. ჭრილობის შეხვევაც ვერ მოვასწარითო... მხოლოდ ეს მოხდა ორა 52-ე, არამედ მე-12 სკოლასთან. ეს უშაკოფის ხევშია. იმ დღეს ფაშისტებმა ვერ მოახერხეს ამ ხევით გამოჭრილიყვნენ ზღვისაკენ, სადაც დაჭრილთა ევაკუაცია მიმდინარეობდა“.

სანამ მოსკოვში გასაგზავნ მოხსენებას წერდნენ, ნორჩ მებრძოლთა რაზმის მეთაური ამირან კოკოევი ადგილობრივი რადიოთი გამოვიდა. მცხოვრებთ უამბო, ძებნის ისტორია და მიმართა მათ კითხვით: ხომ არ იცნობენ თეიმურაზ გურიევს. მალე გამოუხმაურა პაპა ვანო — თეიმურაზის მამა, რომელიც თავისი შვილის რამდენიმე ფრონტული წერილს ინახავს. ერთ-ერთ კონცერტზე ბავშვებმა ვალერიკის თანაპოლკელთა საველე ფოსტის ნომერი წაიკითხეს.

ამას წინათ საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში მოსკოველი ბავშვები— ამ ძებნის მონაწილენი — შეხვდნენ გენერალ-ლეიტენანტ ევგენი ივანეს-ძე ყიდილოვს, შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის მეშვიდე ბრიგადის ყოფილ მეთაურს.

ასე გაიხსნა „ოკოპნაია პრავდის“ საიდუმლოება. ამ გაზეთის რედაქტორის, სევასტოპოლის ნორჩი დამცველის პიონერ ვალერი ვოლკოვის სახელი ამას წინათ ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საპატიო წიგნში ჩაწერეს.

Ვ. ᲚᲐᲠᲘᲜᲐ.

პიონერთა ნაკრები საექსპედიციო რაზმის ხელმძღვანელი.
(„პრავდა“)

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲩᲕᲔᲜᲡ თანამემამულეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს, შინაგანი მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის მე-2 თერაპიული კათედრის გამგეს ლევან ივლიანეს-ძე ანჯაფარიძეს დაბადებიდან 60 და საექიმო, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წელი შეესრულდა. ლევან ანჯაფარიძის სახელსა და მის მოღვაწეობას კარგად იცნობენ საქართველოს მშრომელები და სამეცნიერო წრეები, კარგად იცნობენ მას ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის კურსის დამთავრების შემდეგ (1926 წ.) ლ. ანჯაფარიძე დატოვეს ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკაში ორდინატორად, სადაც 1930 წლამდე მუშაობდა ცნობილ მეცნიერ-თერაპევტის პროფესორ სპირიდონ გირსალაძის ხელმძღვანელობით. ორდინატურის დამთავრებისთანავე ლ. ანჯაფარიძე დაინიშნა იმხანად ახალდაარსებული ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ასისტენტად.

1931 წლიდან ლ. ანჯაფარიძე დაინიშნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლ